

(19) საქართველოს
ინტელექტუალური
საკუთრების
ეროვნული ცენტრი
საქპატენტი



(11) **GE P 2014 6060 B**

(10) AP 2013 12000 A

(51) Int. Cl. (2006)

C 07 D 403/14

C 07 D 403/06

C 07 D 213/06

(12) **ბამობონეზაჰე პატენტის აღწერილობა**

(21) AP 2009 12000

(31) 61/044,451

(44) 2013 12 10 №23

(85) 2010 11 11

(22) 2009 04 10

(32) 2008 04 11

(45) 2014 03 25 №6

(86) PCT/US 2009/040165, 2009 04 10

(24) 2009 04 10

(33) US

(73) ჯენენტექ, ინკ. (US)

1 დი ენ ეი ვეი, საუთ სან-ფრანცისკო,

კალიფორნია 94080 (US);

ქიურის, ინკ. (US)

4 მეგირ როუდ ლექსინგტონ,

მასაჩუსეტსი 02421 (US)

(56) WO2006/028958, 2006.03.16;

WO2003/068747, 2003.08.21;

WO2004/058176, 2004.07.15;

WO2003/037274, 2003.05.08

(72) ჯანეტ ლ. გუნცნერი (US);

დანიელ პ. სახერლინი (US);

მარკ ს. სტენლი (US);

ლიანგ ბაო (CN);

ჟორჟეტ კასტანედო (US);

რებეკა ლ. ლალონდე (US);

შუმეი ვანგი (CA);

მარკ ი. რეინოლდსი (US);

სკოტ ჯ. სევიჯი (US);


კიმბერლი მალესკი (US);

მაიკლ ს. დინა (US)

(74) შალვა გვარამაძე

(54) **ჰეჰ-ჰოზ სიზნალის გადაცემის პირიფილის ინჰიბიტორები**

(57) ნაერთი, ფორმულით (I) ,



ფარმაცევტული კომპოზიცია მის საფუძველზე და გამოყენება კიბოს სამ-
კურნალო მედიკამენტის დასამზადებლად.

მუხლები: 6 დამოუკიდებელი

3 დამოკიდებული

GE P 2014 6060 B

gamogonebaze patent is aRwer i l o b a

განაცხადი ეფუძნება ამერიკის შეერთებულ შტატებში განხილვის პროცესში არსებულ განაცხადს 61/044451 შეტანის თარიღით 11 აპრილი 2008 წელი.

გამოგონება ეხება ორგანულ ნაერთებს, რომელთა გამოყენება შეიძლება ძუძუმწოვრების სამკურნალოდ და/ან პროფილაქტიკისთვის, კერძოდ, პირიდილურ ნაერთებს, რომლებიც ახდენს ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის მექანიზმის ინჰიბირებას და გამოიყენება ჰიპერპროლიფერაციული დაავადებების და ანგიოგენეზით განპირობებული დაავადებების სამკურნალოდ.

ჰეჯ-ჰოგ (Hh) პროტეინი პირველად იდენტიფიცირებული იქნა *Drosophila melanogaster*-ში სეგმენტ-პოლარული გენის სახით, რომელიც მონაწილეობს ემბრიონის კოპირებაში (Nusslein-Volhard et al., Roux. Arch. Dev. Biol. 193: 267-282 (1984)). მოგვიანებით იდენტიფიცირებული იქნა, რომ *Drosophila* ჰეჯ-ჰოგის (Sonic, Desert and Indian) სამი ორთოლოგი არსებობს ყველა ხერხემლიანში, თევზების, ფრინველების და ძუძუმწოვრების ჩათვლით. უნაყოფო ჰეჯ-ჰოგი (DHH) ტესტებში უმთავრესად ექსპრესირდება როგორც თაგვების ემბრიონული განვითარებისას, ისე ზრდასრულ მღრღნელებში და ადამიანებში; ინდური ჰეჯ-ჰოგი (IHH) ჩართულია ემბრიოგენეზის დროს ძვლის განვითარებაში და ზრდასრულებში ძვლის ფორმირების პროცესში; და სონიკური ჰეჯ-ჰოგის (SHH) მაღალი დინეების ექსპრესირდება განვითარებული ხერხემლიანების ემბრიონების ქორდისა და ნერვული მილაკის ვენტრალურ ფირფიტაში. ნაჩვენები იქნა, რომ ტრანსგენულ ცხოველებში *in vitro* ექსპლანტატის ანალიზში, ასევე SHH-ის ეკტოპიური ექსპრესიის დროს SHH ასრულებს გადამწყვეტ როლს ნეირონული მილების კოპირების თვალსაზრისით (Echelard et al., supra.; Ericson et al., Cell 81 : 747-56 (1995); Marti et al., Nature 375: 322-5 (1995); Krauss et al., Cell 75, 1432-44 (1993); Riddle et al., Cell 75: 1401-16 (1993); Roelink et al., Cell 81 :445-55 (1995); Hynes et al., Neuron 19: 15-26 (1997)). Hh ასევე ასრულებს გარკვეულ როლს კიდურების (Krauss et al., Cell 75: 1431-44 (1993); Laufer et al., Cell 79, 993-1003 (1994)), სომიტების (Fan and Tessier-Lavigne, Cell 79, 1175-86 (1994); Johnson et al., Cell 79: 1165-73 (1994)), ფილტვების (Bellusci et al., Develop. 124: 53-63 (1997) და კანის (Oro et al., Science 276: 817-21 (1997)) განვითარებაში. ანალოგიურად, IHH და DHH მონაწილეობს ძვლის, ნაწლავის და გერმინალური უჯრედების განვითარებაში (Apelqvist et al., Curr. Biol. 7: 801-4 (1997); Bellusci et al., Dev. Suppl. 124: 53-63 (1997); Bitgood et al., Curr. Biol. 6: 298-304 (1996); Roberts et al., Development 121 : 3163-74 (1995)).

ადამიანის SHH სინთეზირდება 45 კდა-იანი წინამორბედი პროტეინიდან, რომელიც ავტოკატალიზური გახლეჩის შედეგად იძლევა 20 კდა-იან N-ტერმინალურ ფრაგმენტს, რომელიც პასუხისმგებელია ნორმალურ ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის აქტიურობაზე; და 25 კდა-იან C-ტერმინალურ ფრაგმენტს, რომელიც პასუხისმგებელია აუტოპროცესინგულ აქტიურობაზე, რომელშიც N-ტერმინალური ფრაგმენტი კონიუგირებულია ქოლესტერინის ფრაგმენტთან (Lee, J.J., et al. (1994) Science 266, 1528- 1536; Bumcrot, D.A., et al. (1995), Mol. Cell Biol. 15, 2294-2303; Porter, J.A., et al. (1995) Nature 374, 363- 366). N-ტერმინალური ფრაგმენტი შედგება სრული სიგრძის წინამორბედი თანამიმდევრობის 24-197 ამინომჟავური ნაშთებისგან, რომელიც რჩება მემბრანასთან შეკავშირებული მის C-ტერმინალთან ქოლესტერინის შეკავშირების ხარჯზე (Porter, J.A., et al. (1996) Science 274, 255- 258; Porter, J.A., et al. (1995) Cell 86, 21-34).

ქოლესტერინის კონიუგაცია პასუხისმგებელია ჰეჯ-ჰოგ სიგნალის ქსოვილში ლოკალიზაციაზე.


სავარაუდოდ, უჯრედის ზედაპირზე Hh სიგნალს ანაცვლებს 12 ტრანსმემბრანული დომენის პროტეინის ჯიბე (Ptc) (Hooper and Scott, Cell 59: 751-65 (1989); Nakano et al., Nature 341 : 508- 13 (1989)) და გლუვი G-პროტეინ-შეუღლებულის მსგავსი რეცეპტორი (Smo) (Alcedo et al., Cell 86: 221-232 (1996); van den Heuvel and Ingham, Nature 382: 547-551 (1996)). როგორც გენეტიკური, ისე ბიოქიმიური მიდგომა ადასტურებს რეცეპტორის მოდელს, რომელშიც Ptc და Smo არის მულტიკომპონენტური რეცეპტორული კომპლექსის ნაწილი (Chen and Struhl, Cell 87: 553-63 (1996); Marigo et al., Nature 384: 176-9 (1996); Stone et al., Nature 384: 129-34 (1996)). Hh-ის Ptc-თან შეკავშირებისას სუსტდება Ptc-ს ნორმალური ინჰიბიტორული მოქმედება Smo-ზე, რაც Smo-ს აძლევს პლაზმურ მემბრანაში Hh სიგნალის გარდაქმნის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ზუსტი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც Ptc ახდენს Smo აქტიურობის კონტროლს, ჯერჯერობით არ არის ნათელი.

Smo-ით ინიცირებული სიგნალის გადაცემის კასკადის შედეგია ბირთვში არსებული Gli ტრანსკრიფციის ფაქტორების აქტივაცია, სადაც ისინი ახორციელებენ სამიზნე გენების ტრანსკრიფციის კონტროლს. ნახვენები იქნა, რომ Gli გავლენას ახდენს Hh მექანიზმის ინჰიბიტორების, როგორიცაა Ptc და Hipl, ტრანსკრიფციაზე უარყოფითი უკუკავშირის მარყუქში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ Hh მექანიზმის აქტიურობის მკაცრი კონტროლი აუცილებელია სწორი უჯრედული დიფერენციაციისა და ორგანოს ფორმირებისთვის. Hh სიგნალის გადაცემის მექანიზმის უკონტროლო აქტივაცია დაკავშირებულია ავთვისებიან პროცესებთან, კერძოდ თავის ტვინის, კანის და კუნთის ავთვისებიან დავადებებთან და ანგიოგენეზთან. აღნიშნულის საფუძველი არის ის, რომ Hh მექანიზმი არეგულირებს უჯრედის პროლიფერაციას ზრდასრულებში უჯრედული ციკლის პროგრესიაში მონაწილე ისეთი გენების აქტივაციის გზით, როგორიცაა ციკლინ D, რომელიც ჩართულია G1-S გადატანაში. ასევე, SHh აბლოკირებს უჯრედული ციკლის შეწყვეტას, რომელიც გაშუალებულია p21-ით, რომელიც წარმოადგენს ციკლინ დამოკიდებული კინაზების ინჰიბიტორს. Hh სიგნალირება ამ პროცესებში მონაწილეობს კიბოს პროლიფერაციაში ჩართული EGFR მექანიზმის (EGF, Her2) კომპონენტების, ასევე ანგიოგენეზში ჩართული PDGF (PDGFα) და VEGF მექანიზმების კომპონენტების ინდუცირების გზით. Ptc გენში ფუნქციური მუტაციის დაკარგვა აღენიშნებათ ნევის ბაზალურ უჯრედოვანი სინდრომის (BCNS), მემკვიდრეობითი დაავადებების, რომლებსთვისაც დამახასიათებელია მრავლობითი ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომები (BCC), მქონე პაციენტებს. დისფუნქციური Ptc გენის მუტაციები ასევე კავშირშია სპორადული ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის ტიპის სიმსივნეების დიდი პროცენტის შემთხვევაში (Chidambaram et al., Cancer Research 56: 4599-601 (1996); Gailani et al., Nature Genet. 14: 78-81 (1996); Hahn et al., Cell 85: 841-51 (1996); Johnson et al., Science 272: 1668-71 (1996); Unden et al., Cancer Res. 56: 4562-5; Wicking et al., Am. J. Hum. Genet. 60: 21-6 (1997)). სავარაუდოდ, Ptc ფუნქციის დაკარგვა იწვევს Smo-ს მიერ სიგნალის უკონტროლო გადაცემას ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომას შემთხვევაში. ანალოგიურად, Smo გამააქტიურებელი მუტაციები აღმოჩენილი იქნა სპორადულ BCC სიმსივნეებში (Xie et al., Nature

391 : 90-2 (1998)), რაც მიუთითებს Smo-ზე, როგორც SHh-ის რეცეპტორულ კომპლექსში სიგნალის გადაცემის ქვეერთეულის როლზე.

შემუშავებულია ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის მრავალი ინჰიბიტორი, როგორიცაა ციკლოპამინი, ბუნებრივი ალკალოიდი, რომელიც აჩერებს უჯრედულ ციკლს GO-G1-ზე და აღძრავს აპოპტოზს SCLC-ში. სავარაუდოდ, ციკლოპამინი Smo-ს ინჰიბირებას ასორციელებს მის ჰეპტაპელიკალურ წნულთან შეკავშირების გზით. ცნობილია, რომ ფორსკოლინი ახდენს Hh მექანიზმის ინჰიბირებას Smo-დან დადმავალი მიმართულებით, იმ პროტეინ კინაზა A-ს (PKA) აქტივაციის საშუალებით, რომელიც ხელს უწყობს Gli ტრანსკრიფციის ფაქტორების არააქტიურ მდგომარეობაში შენარჩუნებას. მიუხედავად ზემოთ მითითებული და სხვა ნაერთების გამოყენებისა, დიდია მოთხოვნილება ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის მექანიზმის ძლიერ ინჰიბიტორებზე.

გამოგონების ერთერთი ასპექტი ეხება ახალ ჰეჯ-ჰოგურ ინჰიბიტორებს საერთო ფორმულით (I)



სადაც

A არის კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი;

X არის ალკილენი, $\text{NR}_4\text{C}(\text{O})$, $\text{NR}_4\text{C}(\text{S})$, $\text{N}(\text{C}(\text{O})\text{R}_1)\text{C}(\text{O})$, NR_4SO , NR_4SO_2 , $\text{NR}_4\text{C}(\text{O})\text{NH}$, $\text{NR}_4\text{C}(\text{S})\text{NH}$, $\text{C}(\text{O})\text{NR}_4$, $\text{C}(\text{S})\text{NR}_4$, NR_4PO ან $\text{NR}_4\text{PO}(\text{OH})$;

Y არ არსებობს ან არის CHR_4 , O, S, SO, SO_2 ან NR_4 ;

R_1 შეერჩეულია შემდეგი ჯგუფიდან: ალკილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, კარბონილი, ნიტრო, ციანო, აცილი, ალკილი, ჰალოგენალკილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამიდი, ალკანოილ ამინი, ალკილსულფამიდი, ალკილსულფონამიდი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი; სადაც აღნიშნული ამინო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამიდი, ალკილსულფამიდი, ალკილსულფონამიდი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ამინო, ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბონილი ან კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომლებიც არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია ჰიდროქსილით, ამინოთი, ჰალოგენით, ჰალოგენალკილით, ალკილით, ალკოქსით ან აცილით;

R_2 არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, ალკილი, აცილი ან ალკოქსი, სადაც თითოეული ჩამნაცვლებელი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი;

R_3 არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბოქსილი, ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამიდი, ალკილსულფიდი, ალკილსულ-

ფინილი, ალკილსულფონილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, სადაც თითოეული ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამილი, ალკილსულფიდი, ალკილსულფინილი, ალკილსულფონილი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი;

R_4 არის H ან ალკილი;

m არის 0 – 3;

n არის 0 – 3;

და მისი მარილები და სოლვატები

გამოგონების სხვა ასპექტი უზრუნველყოფს კომპოზიციებს, რომლებიც შეიცავს ნაერთებს ფორმულით I და მატარებელს, გამზავებელს ან ექსციპიენტს.

გამოგონების შემდეგი ასპექტი უზრუნველყოფს კიბოს მკურნალობის ხერხს, რომელიც ითვალისწინებს ძუძუმწოვარში ნაერთის ფორმულით I ეფექტური რაოდენობის შეყვანას.

გამოგონების შემდეგი ასპექტი უზრუნველყოფს უჯრედში ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის ინჰიბირების ხერხს, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული უჯრედის კონტაქტს ნაერთთან ფორმულით I.

გამოგონების შემდეგი ასპექტი უზრუნველყოფს ძუძუმწოვარში ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემასთან დადავშირებული დაავადების ან მდგომარეობის მკურნალობის ხერხს, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ ძუძუმწოვარი ნაერთის ფორმულით I ეფექტური რაოდენობის შეყვანას.

გამოგონების შემდეგი ასპექტი უზრუნველყოფს გამოგონების ნაერთების მიღების ხერხებს.

უპირატეს განხორციელებების დეტალური აღწერა

"აცილი" აღნიშნავს კარბონილს, რომელიც შეიცავს ჩამნაცვლებელს ფორმულით $-C(O)-R$, რომელიშიც R არის H, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ჰეტეროციკლ-ჩანაცვლებული ალკილი, სადაც ალკილი, ალკოქსი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი განსაზღვრულია ქვემოთ. აცილის ჯგუფები მოიცავს ალკანოილს (მაგალითად, აცეტილი), აროილს (მაგალითად, ბენზოილი) და ჰეტეროაროილს.

"ალკილი" აღნიშნავს განშტოებულ ან არაგანშტოებულ, ნაჯერ ან უჯერ (ე. ი. ალკენილი, ალკინილი) ალიფატურ, ნახშირბადის 12 ატომამდე შემცველ, ნახშირწყალბადურ ჯგუფს, სხვა მითითების არ არსებობის შემთხვევაში. თუ ეს ტერმინი გამოყენებულია როგორც სხვა ტერმინის ნაწილი, მაგალითად "ალკილამინო", მაშინ ალკილის ნაწილი უპირატესად არის ნაჯერი ნახშირბადური ჯაჭვი, რომელიც ასევე მოიცავს უჯერ ნახშირბადური ნახშირბადისგან შედგენილ ჯაჭვებს, როგორიცაა "ალკენილამინო" და "ალკინილამინო". "ალკილფოსფინატი" აღნიშნავს $-P(O)R$ -ალკილის ჯგუფს, სადაც R არის H, ალკილი, კარბოციკლ-ალკილი ან ჰეტეროციკლ-ალკილი. უპირატესი ალკილის ჯგუფების მაგალითები მოიცავს შემდეგს: მეთილი, ეთილი, n-პროპილი, იზოპროპილი, n-ბუტილი, იზო-ბუტილი, s-ბუტილი, t-ბუტილი, n-პენტილი, 2-მეთილბუტილი, 2,2-დიმეთილპროპილი, n-ჰექსილი, 2-მეთილპენტილი, 2,2-დიმეთილბუტილი, n-ჰეპტილი, 3-ჰეპტილი, 2-მეთილჰექსილი და სხვა. ტერმინები "უდაბლესი ალკილი" " C_1-C_4 ალკილი" და "ნახშირბადის 1 - 4 ატომის შემცველი ალკილი" არის სინონიმები და

გამოიყენება ურთიერთჩანაცვლებად მეთილის, ეთილის, 1-პროპილის, იზოპროპილის, ციკლოპროპილის, 1-ბუტილის, 5-ბუტილის ან 1-ბუტილის აღსანიშნავად. სხვა მითითების არ არსებობის შემთხვევაში, ჩანაცვლებული ალკილის ჯგუფები შეიძლება შეიცავდეს ერთ (უპირატესად), ორ, სამ ან ოთხ ჩანაცვლებელს, რომელიც შეიძლება იყოს ერთნაირი ან განსხვავებული. ზემოთ მითითებული ჩანაცვლებული ალკილის ჯგუფების მაგალითები, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს შემდეგს: ციანომეთილი, ნიტრომეთილი, ჰიდროქსიმეთილი, ტრიტილოქსიმეთილი, პროპიონილოქსიმეთილი, ამინომეთილი, კარბოქსიმეთილი, კარბოქსიეთილი, კარბოქსიპროპილი, ალკილოქსიკარბონილმეთილი, ალილოქსიკარბონილამინომეთილი, კარბამილოქსიმეთილი, მეთოქსიმეთილი, ეთოქსიმეთილი, 1-ბუტოქსიმეთილი, აცეტოქსიმეთილი, ქლორმეთილი, ბრომმეთილი, იოდმეთილი, ტრიფთორმეთილი, 6-ჰიდროქსიჰექსილი, 2,4-დიქლორ(1-ბუტილი), 2-ამინო(იზო-პროპილი), 2-კარბამილოქსი ეთილი და სხვა. ალკილის ჯგუფი შეიძლება ასევე ჩანაცვლებული იყოს კარბოციკლის ჯგუფით. მაგალითები მოიცავს ციკლოპროპილმეთილის, ციკლობუტილმეთილის, ციკლოპენტილმეთილის და ციკლოჰექსილმეთილის ჯგუფებს, და ასევე -ეთილის, -პროპილის, -ბუტილის, -პენტილის, -ჰექსილის ჯგუფებს. უპირატესი ჩანაცვლებული ალკილები არის ჩანაცვლებული მეთილები, მაგალითად, ნაბისმიერი ჩანაცვლებლით ჩანაცვლებული მეთილის ჯგუფი, როგორცაა "ჩანაცვლებული C_n-C_m ალკილის" ჯგუფი. ჩანაცვლებული მეთილის ჯგუფის მაგალითები მოიცავს ისეთ ჯგუფებს, როგორცაა ჰიდროქსიმეთილი, დაცული ჰიდროქსიმეთილი (მაგალითად, ტეტრაჰიდროპირანილოქსიმეთილი), აცეტოქსიმეთილი, კარბამილოქსიმეთილი, ტრიფთორმეთილი, ქლორმეთილი, კარბოქსიმეთილი, ბრომმეთილი და იოდმეთილი.

"ამიდინი" ან "ამიდინო" აღნიშნავს $-C(NH)-NRR$ ჯგუფს, სადაც თითოეული R დამოუკიდებლად არის H, OH, ალკილი, ალკოქსი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ჰეტეროციკლ-ჩანაცვლებული ალკილი; ან ორი R ჯგუფი, ერთად აღებული, წარმოქმნის ჰეტეროციკლს. უპირატესი ამიდინი არის $-C(NH)-NH_2$ ჯგუფი.

"ამინო" აღნიშნავს პირველად (ე.ი. $-NH_2$), მეორეულ (ე.ი. $-NRH$) და მესამეულ (ე.ი. $-NRR$) ამინებს, სადაც R დამოუკიდებლად არის ალკილი, კარბოციკლი (მაგალითად, არილი), ჰეტეროციკლი (მაგალითად, ჰეტეროარილი), კარბოციკლ-ჩანაცვლებული ალკილი (მაგალითად, ბენზილი) ან ჰეტეროციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ალტერნატიულად, ორი R ჯგუფი, აზოტის იმ ატომთან ერთად, რომელთანაც ისინი არის დაკავშირებული, წარმოქმნის ჰეტეროციკლს. კერძოდ, მეორეული და მესამეული ამინები არის ალკილამინი, დიალკილამინი, არილამინი, დიარილამინი, არალკილამინი და დიარალკილამინი. კერძოდ, მეორეული და მესამეული ამინები არის ასევე მეთილამინი, ეთილამინი, პროპილამინი, იზოპროპილამინი, ფენილამინი, ბენზილამინი, დიმეთილამინი, დიეთილამინი, დიპროპილამინი და დიიზოპროპილამინი.

"ამინო-დამცავი ჯგუფი" აღნიშნავს ჯგუფების წარმოებულს, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ამინოჯგუფის ბლოკირებისთვის ან დასაცავად ნაერთში არსებულ სხვა ფუნქციურ ჯგუფებთან რეაქციის განხორციელების დროს. ასეთი დამცავი ჯგუფების მაგალითები მოიცავს კარბამატებს, ამიდებს, ალკილის და არილის ჯგუფებს, იმინებს, ასევე მრავალ სხვა N-ჰეტეროატომ

წარმოებულს, რომელთა მოცილების შემდეგ ისევ მიიღება ამინო ჯგუფი. უპირატესი ამინო დამცავი ჯგუფები არის Boc, Fmoc და Cbz. ასეთი ჯგუფების სხვა მაგალითები იხ, ნაშრომებში T. W. Greene and P. G. M. Wuts, "Protective Groups in Organic Synthesis", 2nd ed., John Wiley & Sons, Inc., New York, NY, 1991, chapter 7; E. Haslam, "Protective Groups in Organic Chemistry", J. G. W. McOmie, Ed., Plenum Press, New York, NY, 1973, Chapter 5, და T. W. Greene, "Protective Groups in Organic Synthesis", John Wiley and Sons, New York, NY, 1981. ტერმინი "დაცული ამინო" აღნიშნავს ამინო ჯგუფს, რომელიც ჩანაცვლებულია ზემოთ განსაზღვრული ერთი ამინო-დამცავი ჯგუფით.

"არილი", ცალკე ან სხვა ტერმინის ნაწილის სახით, აღნიშნავს კარბოციკლურ არომატულ ჯგუფს, რომელიც შეუღლებულია ან არ არის შეუღლებული, შეიცავს ნახშირბადატომების მთითებულ რაოდენობას ან თუ არ არის ეს რაოდენობა მითითებული, შეიცავს 14-მდე ნახშირბადატომს. არილის ჯგუფები მოიცავს ფენილს, ნაფთილს, ბიფენილს, ფენანთრენილს, ნაფთაცენილს და სხვა (იხ. მაგალითად, Lang's Handbook of Chemistry (Dean, J. A., ed) 13th ed. Table 7-2 [1985]). კონკრეტულ განხორციელებაში არილი შეიძლება იყოს ფენილი. ჩანაცვლებული ფენილი ან ჩანაცვლებული არილი აღნიშნავს ფენილის ჯგუფს ან არილის ჯგუფს, რომელიც ჩანაცვლებულია ერთი, ორი, სამი, ოთხი ან ხუთი, როგორიცაა 1-2, 1-3 ან 1-4 ჩამნაცვლებლით, რომელიც სხვა მითითების არ არსებობის შემთხვევაში, შერჩეულია შემდეგიდან: ჰალოგენი (F, Cl, Br, I), ჰიდროქსი, დაცული ჰიდროქსი, ციანო, ნიტრო, ალკილი (მაგალითად, C₁-C₆ ალკილი), ალკოქსი (მაგალითად, C₁-C₆ ალკოქსი), ბენზილოქსი, კარბოქსი, დაცული კარბოქსი, კარბოქსიმეთილი, დაცული კარბოქსიმეთილი, ჰიდროქსიმეთილი, დაცული ჰიდროქსიმეთილი, ამინომეთილი, დაცული ამინომეთილი, ტრიფთორმეთილი, ალკილსულფონილამინო, არილსულფონილამინო, ჰეტეროციკლილსულფონილამინო, ჰეტეროციკლილი, არილი ან სხვა განსაზღვრული ჯგუფები. ამ ჩამნაცვლებლებში მეთინის (CH) და/ან მეთილენის (CH₂) ერთი ან მეტი ჯგუფი შეიძლება თავის მხრივ ჩანაცვლებული იყოს ზემოთ მითითებულის ანალოგიური ჯგუფით. ტერმინის "ჩანაცვლებული ფენილის" მაგალითები, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მონო- ან დი(ჰალოგენ)ფენილის ჯგუფს, როგორიცაა 2-ქლორფენილი, 2-ბრომფენილი, 4-ქლორფენილი, 2,6-დიქლორფენილი, 2,5-დიქლორფენილი, 3,4-დიქლორფენილი, 3-ქლორფენილი, 3-ბრომფენილი, 4-ბრომფენილი, 3,4-დიბრომფენილი, 3-ქლორ-4-ფთორფენილი, 2-ფთორფენილი და სხვა; მონო- ან დი(ჰიდროქსი)ფენილის ჯგუფს, როგორიცაა 4-ჰიდროქსიფენილი, 3-ჰიდროქსიფენილი, 2,4-დიჰიდროქსიფენილი, მათი დაცული-ჰიდროქსი წარმოებულები და სხვა; ნიტროფენილის ჯგუფს, როგორიცაა 3- ან 4-ნიტროფენილი; ციანოფენილის ჯგუფს, მაგალითად, 4-ციანოფენილი; მონო- ან დი(უდაბლესი ალკილ) ფენილის ჯგუფს, როგორიცაა 4-მეთილფენილი, 2,4-დიმეთილფენილი, 2-მეთილფენილი, 4-(იზო-პროპილ)ფენილი, 4-ეთილფენილი, 3-(n-პროპილ) ფენილი და სხვა; მონო ან დი(ალკოქსი)ფენილის ჯგუფს, მაგალითად, 3,4-დიმეთოქსიფენილი, 3-მეთოქსი-4-ბენზილოქსიფენილი, 3-მეთოქსი-4-(1-ქლორმეთილ)ბენზილოქსი-ფენილი, 3-ეთოქსიფენილი, 4-(იზოპროპოქსი)ფენილი, 4-(t-ბუტოქსი)ფენილი, 3-ეთოქსი-4-მეთოქსიფენილ და სხვა; 3- ან 4-ტრიფთორმეთილფენილს; მონო- ან დიკარბოქსიფენილ ან (დაცული კარბოქსი)ფენილის ჯგუფს, როგორიცაა 4-კარბოქსიფენილი; მონო- ან დი(ჰიდროქსიმეთილ)ფენილს ან (დაცული ჰიდროქსიმეთილ)ფენილს,

როგორიცაა 3-(დაცული ჰიდროქსიმეთილ)ფენილი ან 3,4-დი(ჰიდროქსიმეთილ)ფენილი; მონო- ან დი(ამინომეთილ)ფენილს ან (დაცული ამინომეთილ)ფენილს, როგორიცაა 2-(ამინომეთილ)ფენილი ან 2,4-(დაცული ამინომეთილ)ფენილი; ან მონო- ან დი(N-(მეთილსულფონილამინო))ფენილს, როგორიცაა 3-(N-(მეთილსულფონილამინო))ფენილი. ტერმინი "ჩანაცვლებული ფენილი" ასევე აღნიშნავს დიჩანაცვლებული ფენილის ჯგუფებს, სადაც ჩამნაცვლებლები განსხვავებულია, მაგალითად როგორიცაა 3-მეთილ-4-ჰიდროქსიფენილი, 3-ქლორ-4-ჰიდროქსიფენილი, 2-მეთოქსი-4-ბრომფენილი, 4-ეთილ-2-ჰიდროქსიფენილი, 3-ჰიდროქსი-4-ნიტროფენილი, 2-ჰიდროქსი-4-ქლორფენილი და სხვა, და ასევე ტრიჩანაცვლებული ფენილის ჯგუფებს, სადაც ჩამნაცვლებლები განსხვავებულია, მაგალითად როგორიცაა 3-მეთოქსი-4-ბენზილოქსი-6-მეთილ სულფონილამინო, 3-მეთოქსი-4-ბენზილოქსი-6-ფენილ სულფონილამინო, და ტეტრაჩანაცვლებული ფენილის ჯგუფებს, სადაც ჩამნაცვლებლები განსხვავებულია, როგორიცაა 3-მეთოქსი-4-ბენზილოქსი-5-მეთილ-6-ფენილ სულფონილამინო. ჩანაცვლებული ფენილის ჯგუფები მოიცავს შემდეგ ჯგუფებს: 2-ქლორფენილი, 2-ამინოფენილი, 2-ბრომფენილი, 3-მეთოქსიფენილი, 3-ეთოქსი-ფენილი, 4-ბენზილოქსიფენილი, 4-მეთოქსიფენილი, 3-ეთოქსი-4-ბენზილოქსიფენილი, 3,4-დიეთოქსიფენილი, 3-მეთოქსი-4-ბენზილოქსიფენილი, 3-მეთოქსი-4-(1-ქლორმეთილ)ბენზილოქსი-ფენილი, 3-მეთოქსი-4-(1-ქლორმეთილ) ბენზილოქსი-6-მეთილ სულფონილ ამინოფენილი. კონდენსირებული არილის რგოლები შეიძლება ასევე ჩანაცვლებული იყოს ნაბისმიერი (მაგალითად 1, 2 ან 3) ჩამნაცვლებლით, რომელიც განსაზღვრულია ჩანაცვლებული ალკილის ჯგუფების ანალოგიურად.

"კარბამოილი" აღნიშნავს ამინოკარბონილს, რომელიც შეიცავს ჩამნაცვლებელს ფორმულით $-C(O)N(R)_2$, რომელშიც R არის H, ჰიდროქსილი, ალკოქსი, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ალკოქსი, ან ჰეტეროციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ალკოქსი, სადაც ალკილი, ალკოქსი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი განსაზღვრულია ზემოთ. კარბამოილის ჯგუფები მოიცავს ალკილამინოკარბონილს (მაგალითად, ეთილამინოკარბონილი, $Et-NH-CO-$), არილამინოკარბონილს (მაგალითად, ფენილამინოკარბონილი), არალკილამინოკარბონილს (მაგალითად, ბენზოილამინოკარბონილ) ჰეტეროციკლამინოკარბონილს (მაგალითად, პიპერიზინილამინოკარბონილი) და კერძოდ, ჰეტეროარილამინოკარბონილს (მაგალითად, პირიდინილამინოკარბონილი).

"კარბოციკლილი", "კარბოციკლური", "კარბოციკლი" და "კარბოციკლო", ცალკე ან როცა გამოყენებულია კომპლექსურ ჯგუფში, როგორიცაა კარბოციკლოალკილის ჯგუფი, რადიკალის სახით, აღნიშნავს მონო-, ბი- ან ტრიციკლურ ალიფატურ, ნახშირბადის 3 - 14 ატომის და უპირატესად, ნახშირბადის 3 - 7 ატომის შემცველ რგოლს, რომელიც შეიძლება იყოს ნაჯერი ან უჯერი, არომატული ან არა-არომატული. უპირატესი ნაჯერი კარბოციკლური ჯგუფები მოიცავს ციკლოპროპილის, ციკლოპუტილის, ციკლოპენტის და ციკლოჰექსილის ჯგუფებს და უფრო უპირატესი ჯგუფებია ციკლოპროპილი და ციკლოჰექსილი და ყველაზე უპირატესი ჯგუფებია ციკლოჰექსილი. უპირატესი უჯერი კარბოციკლები არის არომატული მაგალითად, არილის ჯგუფები, როგორც განსაზღვრულია ზემოთ, ყველაზე უპირატესია ფენილი. ტერმინები "ჩანაცვლებული კარბოციკლილი", "ჩანაცვლებული კარბოციკლი" და "ჩანაცვლებული კარბოციკლო", სხვა მითითების არ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნავს

ჯგუფებს, რომლებიც ჩანაცვლებულია იგივე ჩანაცვლებებით, როგორც "ჩანაცვლებული ალკილის" ჯგუფი.

"კარბოქსი-დამცავი ჯგუფი" აღნიშნავს კარბონმჟავას ჯგუფის რთული ეთერის ერთერთ წარმოებულს, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება კარბონმჟავას ჯგუფის ბლოკირებისთვის ან დასაცავად ნაერთის სხვა ფუნქციურ ჯგუფთან რეაქციის დროს. ამგვარი კარბონმჟავას დამცავი ჯგუფების მაგალითები მოიცავს შემდეგს: 4-ნიტრობენზილი, 4-მეთოქსიბენზილი, 3,4-დიმეთოქსიბენზილი, 2,4-დიმეთოქსიბენზილი, 2,4,6-ტრიმეთოქსიბენზილი, 2,4,6-ტრიმეთილბენზილი, პენტამეთილბენზილი, 3,4-მეთილენდიოქსიბენზილი, ბენზჰიდრილი, 4,4'-დიმეთოქსიბენზჰიდრილი, 2,2',4,4'-ტეტრამეთოქსიბენზჰიდრილი, ალკილი, როგორიცაა t-ბუტილი ან t-ამილი, ტრიტილი, 4-მეთოქსიტრიტილი, 4,4'-დიმეთოქსიტრიტილი, 4,4',4"-ტრიმეთოქსიტრიტილი, 2-ფენილპროპ-2-ილი, ტრიმეთილსილილი, t-ბუტილდიმეთილსილილი, ფენაცილი, 2,2,2-ტრიქლორეთილი, ბეტა-(ტრიმეთილსილილ)ეთილი, ბეტა-(დი(n-ბუტილ)მეთილსილილ)ეთილი, p-ტოლუოლსულფონილეთილი, 4-ნიტრობენზილსულფონილეთილი, ალილი, ცინამილი, 1-(ტრიმეთილსილილმეთილ)პროპ-1-ენ-3-ილი და სხვა რადიკალები. გამოყენებული კარბოქსი-დამცავი ჯგუფის ტიპი არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუ კარბონმჟავას წარმოებული მდგრადია იმ რეაქციის პირობებში, რომელიც უნდა ჩატარდეს მოლეკულის სხვა ფრაგმენტებთან და თუ მისი მოცილება საჭირო დროს შეიძლება განხორციელდეს მოლეკულის დანარჩენი ნაწილის გახლეჩის გარეშე. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ კარბოქსი-დამცავი მოლეკულა არ დაექვემდებაროს ურთიერთქმედებას ძლიერ ნუკლეოფილურ ფუძეებთან, როგორიცაა ლითიუმის ჰიდროქსიდი ან NaOH, ან ალდეჟის რეაქციის პირობებს, რომელშიც გამოიყენება ძლიერ აქტიური ლითონების ჰიდრიდები, როგორიცაა LiAlH_4 . (ამგვარი მკაცრი სარეაქციო პირობების გამოყენება თავიდან უნდა იქნას აცილებული ქვემოთ აღწერილი ამინო-დამცავი და ჰიდროქსი-დამცავი ჯგუფების მოცილების დროსაც). უპირატესი კარბონმჟავას დამცავი ჯგუფები არის ალკილის (მაგალითად, მეთილი, ეთილი, t-ბუტილი), ალილის, ბენზილის და p-ნიტრობენზილის ჯგუფები. იმ კარბოქსი-დამცავი ჯგუფების ანალოგიური ჯგუფები, რომლებიც გამოყენებულია ცეფალოსპორინის, პენიცილინის და პეპტიდის წარმოებაში, შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს ასევე კარბოქსი ჯგუფის დასაცავადაც. ამგვარი ჯგუფების სხვა მაგალითები იხ. წყაროებში: T. W. Greene and P. G. M. Wuts, "Protective Groups in Organic Synthesis", 2nd ed., John Wiley & Sons, Inc., New York, N. Y., 1991, chapter 5; E. Haslam, "Protective Groups in Organic Chemistry", J. G. W. McOmie, Ed., Plenum Press, New York, N. Y., 1973, Chapter 5, და T. W. Greene, "Protective Groups in Organic Synthesis", John Wiley and Sons, New York, NY, 1981, Chapter 5. ტერმინი "დაცული კარბოქსი" აღნიშნავს კარბოქსი ჯგუფს, რომელიც ჩანაცვლებულია ზემოთ აღნიშნული ერთი კარბოქსი-დამცავი ჯგუფით.

"გუანიდინი" აღნიშნავს $-\text{NH}-\text{C}(\text{NH})-\text{NHR}$ ჯგუფს, სადაც R არის H, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლ-ჩანაცვლებული ალკილი ან ჰეტეროციკლ-ჩანაცვლებული ალკილი. გუანიდინის განსაკუთრებული ჯგუფი არის $-\text{NH}-\text{C}(\text{NH})-\text{NH}_2$.

"ჰეტეროციკლური ჯგუფი", "ჰეტეროციკლური", "ჰეტეროციკლი", "ჰეტეროციკლილი" ან "ჰეტეროციკლო", ცალკე ან როცა გამოყენებულია

კომპლექსურ ჯგუფში, როგორიცაა ჰეტეროციკლოალკილის ჯგუფი, რადიკალის სახით, გამოყენებულია ურთიერთჩანაცვლებად და აღნიშნავს ნებისმიერ მონო-, ბი- ან ტრიციკლურ, ნაჯერ ან უჯერ, არომატულ (ჰეტეროარილურ) ან არა-არომატულ რგოლს, რომელიც შეიცავს ატომების განსაზღვრულ რიცხვს, ჩვეულებრივ ~5 - 14 რგოლურ ატომს, სადაც რგოლური ატომები არის ნახშირბადი და სულ მცირე, ერთი ჰეტეროატომი (აზოტი, გოგირდი ან ჟანგბადი) და უპირატესად, 1 - 4 ჰეტეროატომს. "ჰეტეროციკლოსულფონილი" აღნიშნავს -SO₂-ჰეტეროციკლის ჯგუფს; "ჰეტეროციკლოსულფინილი" აღნიშნავს -SO-ჰეტეროციკლის ჯგუფს. ჩვეულებრივ, 5-წევრიანი რგოლი შეიცავს 0 - 2 ორმაგ ბმას და 6- ან 7- წევრიანი რგოლი შეიცავს 0 - 3 ორმაგ ბმას და აზოტის ან გოგირდის ჰეტეროატომები შეიძლება არასავალდებულოდ იყოს დაქანებული (მაგალითად, SO, SO₂) და აზოტის ნებისმიერი ჰეტეროატომი შეიძლება არასავალდებულოდ იყოს კვატერნიზებული. უპირატესი არა-არომატული ჰეტეროციკლები მოიცავს შემდეგს: მორფოლინილი (მორფოლინო), პიროლიდინილი, ოქსირანილი, ოქსეტანილი, ტეტრაჰიდროფურანილი, 2,3-დიჰიდროფურანილი, 2H-პირანილი, ტეტრაჰიდროპირანილი, თიირანილი, თიეტანილი, ტეტრაჰიდროთიეტანილი, აზირიდინილი, აზეტიდინილი, 1-მეთილ-2-პიროლიდი, პიპერაზინილი და პიპერიდინილი. "ჰეტეროციკლოალკილის" ჯგუფი არის ჰეტეროციკლური ჯგუფი, ზემოთ განსაზღვრულის მიხედვით, კოვალენტურად დაკავშირებული ალკილის ჯგუფთან, ზემოთ განსაზღვრულის მიხედვით. უპირატესი 5-წევრიანი ჰეტეროციკლები შეიცავს გოგირდის ან ჟანგბადის ატომს და აზოტის ერთიდან სამამდე ატომს, და ასეთი ჯგუფებია თიაზოლიდის, განსაკუთრებით თიაზოლ-2-ილის და თიაზოლ-2-ილის N-ოქსიდის, თიადიაზოლიდის, განსაკუთრებით 1,3,4-თიადიაზოლ-5-ილის და 1,2,4-თიადიაზოლ-5-ილის, ოქსაზოლიდის, უპირატესად ოქსაზოლ-2-ილის და ოქსადიაზოლიდის, როგორიცაა 1,3,4-ოქსადიაზოლ-5-ილის და 1,2,4-ოქსადიაზოლ-5-ილის ჯგუფები. უპირატესი 5-წევრიანი რგოლური ჰეტეროციკლები შეიცავს აზოტის 2 - 4 ატომს და მოიცავს იმიდაზოლიდს, უპირატესად იმიდაზოლ-2-ილს; ტრიაზოლიდს, უპირატესად 1,3,4-ტრიაზოლ-5-ილს; 1,2,3-ტრიაზოლ-5-ილს, 1,2,4-ტრიაზოლ-5-ილს და ტეტრაზოლიდს, უპირატესად 1H-ტეტრაზოლ-5-ილს. უპირატესი ბენზო-კონდენსირებული 5-წევრიანი ჰეტეროციკლებიუ ბენზოქსაზოლ-2-ილი, ბენზოთიაზოლ-2-ილი და ბენზიმიდაზოლ-2-ილი. უპირატესი 6-წევრიანი ჰეტეროციკლები შეიცავს აზოტის ერთიდან სამამდე ატომს და არასავალდებულოდ გოგირდის ან ჟანგბადის ატომს, და ასეთი ჯგუფებია მაგალითად პირიდილი, როგორიცაა პირიდ-2-ილი, პირიდ-3-ილი და პირიდ-4-ილი; პირიმიდილი, უპირატესად პირიმიდ-2-ილი და პირიმიდ-4-ილი; ტრიაზინილი, უპირატესად 1,3,4-ტრიაზინ-2-ილი და 1,3,5-ტრიაზინ-4-ილი; პირიდაზინილი, განსაკუთრებით პირიდაზინ-3-ილი და პირაზინილი. პირიდინის N-ოქსიდები და პირიდაზინის N-ოქსიდები და პირიდიდის, პირიმიდ-2-ილის, პირიმიდ-4-ილის, პირიდაზინილის და 1,3,4-ტრიაზინ-2-ილის ჯგუფები არის უპირატესი ჯგუფები. ზემოთ განსაზღვრული არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ჰეტეროციკლური ჩამნაცვლებლების და 5- და 6-წევრიანი რგოლური სისტემების დამატებითი მაგალითები იხ. W. Druckheimer et al, აშშ პატენტში No. 4,278,793.

"ჰეტეროარილი", ცალკე ან როცა გამოყენებულია კომპლექსურ ჯგუფში, როგორიცაა ჰეტეროარილკილის ჯგუფი, რადიკალის სახით, აღნიშნავს ნებისმიერ მონო-, ბი- ან ტრიციკლურ არომატულ რგოლურ სისტემას,

რომელიც შეიცავს განსაზღვრული რიცხვის ატომებს, სადაც სულ მცირე, ერთი რგოლი არის 5-, 6- ან 7-წევრიანი რგოლი, რომელიც შეიცავს აზოტის, ჟანგბადის და გოგირდის შემცველ ჯგუფიდან შერჩეულ ერთიდან ოთხამდე ჰეტეროატომს, და უპირატესად სულ მცირე, ერთი ჰეტეროატომი არის აზოტი (*Lang's Handbook of Chemistry, supra*). ეს განსაზღვრება მოიცავს ნებისმიერ ბიცკლურ ჯგუფს, რომელშიც ნებისმიერი ჰეტეროარილის რგოლი კონდენსირებულია ბენზოლის რგოლთან. ჰეტეროარილები, რომელშიც აზოტი ან ჟანგბადი არის ჰეტეროატომი, არის უპირატესი. ჰეტეროარილის (ხანაცვლებული ან ჩაუნაცვლებელი) ჯგუფების, რომლებიც შედის ტერმინის "ჰეტეროარილი" ფარგლებში, მაგალითები მოიცავს შემდეგ რგოლურ სისტემებს: თიენილი, ფურილი, იმიდაზოლილი, პირაზოლილი, თიაზოლილი, იზოთიაზოლილი, ოქსაზოლილი, იზოქსაზოლილი, ტრიაზოლილი, თიადიაზოლილი, ოქსადიაზოლილი, ტეტრაზოლილი, თიატრიაზოლილი, ოქსატრიაზოლილი, პირიდილი, პირიმიდილი, პირაზინილი, პირიდაზინილი, თიაზინილი, ოქსაზინილი, ტრიაზინილი, თიადიაზინილი, ოქსადიაზინილი, დითიაზინილი, დიოქსაზინილი, ოქსათიაზინილი, ტეტრაზინილი, თიატრიაზინილი, ოქსატრიაზინილი, დითიადიაზინილი, იმიდაზოლინილი, დიჰიდროპირიმიდილი, ტეტრაჰიდროპირიმიდილი, ტეტრაზოლო[1,5-b]პირიდაზინილი და პურილი, ასევე ბენზო-კონდენსირებული წარმოებულები, მაგალითად როგორცაა ბენზოქსაზოლილი, ბენზფურილი, ბენზთიაზოლილი, ბენზთიადიაზოლილი, ბენზტრიაზოლილი, ბენზიმიდაზოლილი და ინდოლილი. "ჰეტეროარილის" განსაკუთრებულად უპირატესი ჯგუფები მოიცავს შემდეგს: 1,3-თიაზოლ-2-ილი, 4-(კარბოქსიმეთილ)-5-მეთილ-1,3-თიაზოლ-2-ილი, 4-(კარბოქსიმეთილ)-5-მეთილ-1,3-თიაზოლ-2-ილის ნატრიუმის მარილი, 1,2,4-თიადიაზოლ-5-ილი, 3-მეთილ-1,2,4-თიადიაზოლ-5-ილი, 1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 2-მეთილ-1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 2-ჰიდროქსი-1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 2-კარბოქსი-4-მეთილ-1,3,4-ტრიაზოლ-5-ილის ნატრიუმის მარილი, 2-კარბოქსი-4-მეთილ-1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 1,3-ოქსაზოლ-2-ილი, 1,3,4-ოქსადიაზოლ-5-ილი, 2-მეთილ-1,3,4-ოქსადიაზოლ-5-ილი, 2-(ჰიდროქსიმეთილ)-1,3,4-ოქსადიაზოლ-5-ილი, 1,2,4-ოქსადიაზოლ-5-ილი, 1,3,4-თიადიაზოლ-5-ილი, 2-თიოლ-1,3,4-თიადიაზოლ-5-ილი, 2-(მეთილთიო)-1,3,4-თიადიაზოლ-5-ილი, 2-ამინო-1,3,4-თიადიაზოლ-5-ილი, 1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-მეთილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(1-(დიმეთილამინო)ეთ-2-ილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(კარბოქსიმეთილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(კარბოქსიმეთილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილის ნატრიუმის მარილი, 1-(მეთილსულფონმეჟავა)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(მეთილსულფონმეჟავა)-1H-ტეტრაზოლ-5-ილის ნატრიუმის მარილი, 2-მეთილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1,2,3-ტრიაზოლ-5-ილი, 1-მეთილ-1,2,3-ტრიაზოლ-5-ილი, 2-მეთილ-1,2,3-ტრიაზოლ-5-ილი, 4-მეთილ-1,2,3-ტრიაზოლ-5-ილი, პირიდ-2-ილის N-ოქსიდი, 6-მეთოქსი-2-(n-ოქსიდ)-პირიდაზ-3-ილი, 6-ჰიდროქსიპირიდაზ-3-ილი, 1-მეთილპირიდ-2-ილი, 1-მეთილპირიდ-4-ილი, 2-ჰიდროქსიპირიმიდ-4-ილი, 1,4,5,6-ტეტრაჰიდრო-5,6-დიოქსო-4-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 1,4,5,6-ტეტრაჰიდრო-4-(ფორმილმეთილ)-5,6-დიოქსო-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-ჰიდროქსი-აზ-ტრიაზინ-3-ილის ნატრიუმის მარილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-ჰიდროქსი-2-მეთილ-ასტრიაზინ-3-ილის ნატრიუმის მარილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-ჰიდროქსი-2-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-მეთოქსი-2-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-2-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-2,6-დიმეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, ტეტრაზოლო[1,5-b]პირიდაზინ-6-ილი და 8-

ამინოტეტრაზოლო [1,5-b]-პირიდაზინ-6-ილი. ალტერნატიული "ჰეტეროარილის" ჯგუფები მოიცავს შემდეგს: 4-(კარბოქსიმეთილ)-5-მეთილ-1,3-თიაზოლ-2-ილი, 4-(კარბოქსიმეთილ)-5-მეთილ-1,3-თიაზოლ-2-ილის ნატრიუმის მარილი, 1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 2-მეთილ-1,3,4-ტრიაზოლ-5-ილი, 1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-მეთილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(1-(დიმეთილამინო)ეთ-2-ილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(კარბოქსიმეთილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(კარბოქსიმეთილ)-1H-ტეტრაზოლ-5-ილის ნატრიუმის მარილი, 1-(მეთილსულფონმჟავა)-1H-ტეტრაზოლ-5-ილი, 1-(მეთილსულფონმჟავა)-1H-ტეტრაზოლ-5-ილის ნატრიუმის მარილი, 1,2,3-ტრიაზოლ-5-ილი, 1,4,5,6-ტეტრაჰიდრო-5,6-დიოქსო-4-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 1,4,5,6-ტეტრაჰიდრო-4-(2-ფორმილმეთილ)-5,6-დიოქსო-აზ-ტრიაზინ-3-ილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-ჰიდროქსი-2-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილის ნატრიუმის მარილი, 2,5-დიჰიდრო-5-ოქსო-6-ჰიდროქსი-2-მეთილ-აზ-ტრიაზინ-3-ილი, ტეტრაზოლო[1,5-b]პირიდაზინ-6-ილი და 8-ამინოტეტრაზოლო[1,5-b]პირიდაზინ-6-ილი.

"ჰიდროქსი-დამცავი ჯგუფი" აღნიშნავს ჰიდროქსი ჯგუფის წარმოებულს, რომელიც ჩვეულებრივ გომოიყენება ჰიდროქსი ჯგუფის ბლოკირებისთვის ან დასაცავად ნაერთის სხვა ფუნქციურ ჯგუფთან რეაქციის დროს. ამგვარი დამცავი ჯგუფების მაგალითებია ტეტრაჰიდროპირანილოქსი, ბენზოილის, აცეტოქსი, კარბამილოქსი, ბენზილის და სილილეთერების (მაგალითად, TBS, TBDPS) ჯგუფები. ასეთი ჯგუფების სხვა მაგალითები იხ. T. W. Greene and P. G. M. Wuts, "Protective Groups in Organic Synthesis", 2nd ed., John Wiley & Sons, Inc., New York, NY, 1991, chapters 2-3; E. Haslam, "Protective Groups in Organic Chemistry", J. G. W. McOmie, Ed., Plenum Press, New York, NY, 1973, Chapter 5, და T. W. Greene, "Protective groups in Organic Synthesis", John Wiley and Sons, New York, NY, 1981. ტერმინი "დაცული ჰიდროქსი" აღნიშნავს ჰიდროქსი ჯგუფს, რომელიც ჩანაცვლებულია ზემოთ მითითებული ერთი ჰიდროქსი-დამცავი ჯგუფით.

"ფარმაცევტულად მისაღები მარილები" მოიცავს მჟავა და ფუძე ადიტიურ მარილებს. "ფარმაცევტულად მისაღები მჟავა ადიტიური მარილი" აღნიშნავს მარილს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისუფალი ფუძის ფორმის ბიოლოგიური ეფექტურობა და თვისებები და რომელიც არ არის ბიოლოგიური ან სხვა თვალსაზრისით არასასურველი, რომელიც მიღებულია ისეთი არაორგანული მჟავებისგან, როგორიცაა ქლორწყალბადმჟავა, ბრომწყალბადმჟავა, გოგირდმჟავა, აზოტმჟავა, ნახშირმჟავა, ფოსფორმჟავა და სხვა, და ორგანულ მჟავებიდან, რომლებიც შერჩეულია ალიფატური, ციკლოალიფატური, არომატული, არალიფატური, პეტეროციკლური, კარბოქსილური და სულფონური ორგანული მჟავების კლასებიდან, როგორიცაა ჭიანჭველმჟავა, ძმარმჟავა, პროპიონმჟავა, გლიკოლმჟავა, გლუკონმჟავა, რქმჟავა, ლორწოს მჟავა, მჟაუნმჟავა, ვაშლის მჟავა, მალეინმჟავა, მალონმჟავა, ქარვის მჟავა, ფუმარინის მჟავა, ღვინის მჟავა, ლიმონმჟავა, ასპარტინის მჟავა, ასკორბინმჟავა, გლუტამინის მჟავა, ანთრანილინის მჟავა, ბენზომჟავა, დარიჩინის მჟავა, ნუშის მჟავა, ემბონის მჟავა, ფენილძმარმჟავა, მეთანსულფონმჟავა, ეთანსულფონმჟავა, p-ტოლუოლსულფონმჟავა, სალიცილმჟავა და სხვა.

"ფარმაცევტულად მისაღები ფუძე ადიტიური მარილები" მოიცავს ისეთ არაორგანულ ფუძეებიდან წარმოებულ მარილებს, როგორიცაა ნატრიუმის, კალიუმის, ლითიუმის, ამონიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, რკინის, თუთიის, სპილენძის, მანგანუმის, ალუმინის მარილები და სხვა. კერძოდ, უპირატესია ამონიუმის, კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის და მაგნიუმის მარილები.

ფარმაცევტულად მისაღები ორგანული არატოქსიკური ფუძეებიდან წარმოებული მარილები მოიცავს პირველადი, მეორეული, და მესამეული ამინების, ჩანაცვლებული ამინების, ბუნებრივი წარმოშობის ჩანაცვლებული ამინების ჩათვლით, ციკლური ამინების და ფუძოვანი იონ მიმომცველი ფისების მარილებს, როგორცაა იზოპროპილამინი, ტრიმეთილამინი, დიეთილამინი, TEA, ტრიპროპილამინი, ეთანოლამინი, 2-დიეთილამინოეთანოლი, ტრიმეთამინი, დიციკლოპექსილამინი, ლიზინი, არგინინი, ჰისტიდინი, კოფეინი, პროკაინი, ჰიდრაბამინი, ქოლინი, ბეტაინი, ეთილენდიამინი, გლუკოზამინი, მეთილგლუკამინი, თეობრომინი, პურიინი, პიპერიზინი, პიპერიდინი, N-ეთილპიპერიდინი, პოლიამინის ფისები და სხვა. კერძოდ, უპირატესი ორგანული არა-ტოქსიკური ფუძეებია იზოპროპილამინი, დიეთილამინი, ეთანოლამინი, ტრიმეთამინი, დიციკლოპექსილამინი, ქოლინი და კოფეინი.

"ფოსფინატი" აღნიშნავს $-P(O)R-OR$ ჯგუფს, სადაც თითოეული R დამოუკიდებლად არის H, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლოალკილი ან ჰეტეროციკლოალკილი. ფოსფინატის უპირატესი ჯგუფებია ალკილფოსფინატის ჯგუფები (ე.ი. $-P(O)R-O-$ ალკილი), მაგალითად $-P(O)Me-OEt$.

"სულფამოილი" აღნიშნავს $-SO_2-N(R)_2$ ჯგუფს, სადაც თითოეული R დამოუკიდებლად არის H, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლოალკილი ან ჰეტეროციკლოალკილი. სულფამოილის უპირატესი ჯგუფები არის ალკილსულფამოილი, მაგალითად მეთილსულფამოილი ($-SO_2-NHMe$); არილსულფამოილი, მაგალითად ფენილსულფამოილი; არალკილსულფამოილი, მაგალითად ბენზილსულფამოილი.


"სულფინილი" აღნიშნავს $-SO-R$ ჯგუფს, სადაც R არის ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლოალკილი ან ჰეტეროციკლოალკილი. სულფინილის უპირატესი ჯგუფები არის ალკილსულფინილი (ე.ი. $-SO-$ ალკილი), მაგალითად მეთილსულფინილი; არილსულფინილი (ე.ი. $-SO-$ არილი) მაგალითად ფენილსულფინილი; არალკილსულფინილი, მაგალითად ბენზილსულფინილი.

"სულფონამიდი" აღნიშნავს $-NR-SO_2-R$ ჯგუფს, სადაც თითოეული R დამოუკიდებლად არის H, ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლოალკილი ან ჰეტეროციკლოალკილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი. სულფონამიდის უპირატესი ჯგუფები არის ალკილსულფონამიდი (მაგალითად, $-NH-SO_2-$ ალკილი), მაგალითად მეთილსულფონამიდი; არილსულფონამიდი (ე.ი. $-NH-SO_2-$ არილი) მაგალითად ფენილსულფონამიდი; არალკილსულფონამიდი, მაგალითად ბენზილსულფონამიდი.

"სულფონილი" აღნიშნავს $-SO_2-R$ ჯგუფს, სადაც R არის ალკილი, კარბოციკლი, ჰეტეროციკლი, კარბოციკლოალკილი ან ჰეტეროციკლოალკილი. სულფონილის უპირატესი ჯგუფები არის ალკილსულფონილი (ე.ი. $-SO_2-$ ალკილი), მაგალითად მეთილსულფონილი; არილსულფონილი, მაგალითად ფენილსულფონილი; არალკილსულფონილი, მაგალითად ბენზილსულფონილი.

ფრაზა "და მათი მარილები და სოლვატები" აღნიშნავს, რომ გამოგონების ნაერთები შეიძლება არსებობდეს მარილის და სოლვატის ან მათი ნარევის ფორმით, მაგალითად, გამოგონების ნაერთი შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული არსებითად სუფთა მარილის ან სოლვატის ფორმით ან ორი ან მეტი მარილის ან სოლვატის ნარევის ფორმით.


გამოგონება ეხება ახალ ნაერთებს საერთო ფორმულით I:



I

სადაც A, X, Y, R₁, R₂ და R₃ აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობები.










A არის კარბოციკლური ან ჰეტეროციკლური რგოლი, რომელიც ჩანაცვლებულია შემდეგიდან შერჩეული 0 - 3 (მაგალითად, n არის 0-3) R₂ ჯგუფით: ჰალოგენი, ჰიდროქსილი, ალკილი, აცილი ან ალკოქსი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი; კონკრეტულ განხორციელებაში, A არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული არილი ან ჰეტეროარილი. სხვა კონკრეტულ განხორციელებაში A არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ბენზოლი, თიოფენი, თიაზოლი, იმიდაზოლი, პიროლი, N-ალკილ პიროლი, პირიდინი, პირაზოლი ან N-ალკილ პირაზოლი. კიდევ სხვა განსაკუთრებულ განხორციელებაში, A არის შემდეგი ჯგუფიდან შერჩეული რგოლი: A¹, A², A³, A⁴, A⁵, A⁶ და A⁷:



სადაც Z₁ არის O, S ან NR₅, სადაც R₅ არის H ან ალკილი; Z₂ არის CH, CR₂' ან N; R₂ არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, ალკილი, აცილი ან ალკოქსი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი; R₂' არის H, ჰალოგენი, ჰიდროქსილი, ალკილი, აცილი ან ალკოქსი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი; და n არის 0-3. ერთერთი განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A¹. სხვა კერძო განხორციელებაში, A არის რგოლი ფორმულით A¹, სადაც Z₁ არის S და Z₂ არის CH ან N. სხვა განხორციელების

მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^1 , სადაც Z_1 არის S და Z_2 არის CH, მაგალითად, თიოფენი. სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^1 , სადაც Z_1 არის S და Z_2 არის N, მაგალითად, თიაზოლი. კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^1 , სადაც R_2 არის H. ერთერთ განხორციელებაში, A არის რგოლი ფორმულით A^1 , სადაც R_2 არის მეთილი. სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი A^1 , სადაც R_2 არის მეთილი. ერთერთ კერძო განხორციელებაში, A არის რგოლი A^2 . სხვა განხორციელებაში, A არის რგოლი ფორმულით A^1 , სადაც R_2 არ არსებობს, მაგალითად n არის 0. სხვა განხორციელებაში, n არის 1 და R_2 არის Cl. სხვა კერძო განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^3 . სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^3 , სადაც Z_1 არის S და Z_2 არის N, მაგალითად, თიაზოლი. სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^3 , სადაც Z_1 არის S, Z_2 არის N და R_2 არის Cl. სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^3 , სადაც Z_1 არის S, Z_2 არის CH (მაგალითად, თიოფენი) და R_2 არის Cl.

ერთერთ კონკრეტულ განხორციელებაში A არის რგოლი A^{1a} , A^{1b} , A^{2a} , A^{3a} , A^{3b} , A^{4a} , A^{5a} , A^{6a} , A^{7a} :

 A^{1a}  A^{1b}  A^{2a}  A^{3a}  A^{3b}  A^{4a}  A^{5a}  A^{6a}  A^{7a}

ერთერთ განხორციელებაში A არის რგოლი ფორმულით A^{1a} . სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^{1b} . სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^{2a} . კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^{3a} . სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^{3b} . კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, A არის რგოლი ფორმულით A^{4a} .

X არის ალკილენი, $\text{NR}_4\text{C}(\text{O})$, $\text{NR}_4\text{C}(\text{S})$, $\text{N}(\text{C}(\text{O})\text{R}_1)\text{C}(\text{O})$, NR_4SO , NR_4SO_2 , $\text{NR}_4\text{C}(\text{O})\text{NH}$, $\text{NR}_4\text{C}(\text{S})\text{NH}$, $\text{C}(\text{O})\text{NR}_4$, $\text{C}(\text{S})\text{NR}_4$, NR_4PO ან $\text{NR}_4\text{PO}(\text{OH})$, სადაც R_4 არის H ან ალკილი. ერთერთ განხორციელებაში X არის $\text{NR}_4\text{C}(\text{O})$, რომელიც წარმოქმნის ამიდურ ბმას რგოლს A და R_1 -ს შორის. სხვა განხორციელების მიხედვით, X არის $\text{N}_4\text{C}(\text{S})$, რომელიც წარმოქმნის თიოამიდურ ბმას რგოლს A და R_1 -ს შორის. სხვა განხორციელების მიხედვით, X არის $\text{NR}_4\text{C}(\text{O})\text{NH}$, რომელიც წარმოქმნის შარდოვანულ ბმას რგოლს A და R_1 -ს შორის. კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, X არის $\text{NR}_4\text{C}(\text{S})\text{NH}$, რომელიც NR_2 -თან ერთად წარმოქმნის თიოშარდოვანულ ბმას რგოლს A და R_1 -ს შორის. კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, X არის $\text{N}(\text{C}(\text{O})\text{R}_1)\text{C}(\text{O})$, მაგალითად, აზოტი მასთან დაკავშირებული ორი $-\text{C}(\text{O})\text{R}_1$ ჯგუფით.


Y არ არსებობს ან არის CHR_4 , O, S, SO, SO_2 ან NR_4 , სადაც R_4 აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა. ერთერთ განხორციელებაში Y არის CHR_4 . სხვა განხორციელებაში Y არის NR_4 . ერთ კონკრეტულ განხორციელებაში Y არის O. სხვა განხორციელებაში Y არის S. სხვა განხორციელებაში Y არის SO. სხვა კონკრეტულ განხორციელებაში Y არის SO_2 . სხვა განხორციელების მიხედვით, Y არ არსებობს, მაგალითად, რგოლი A უშუალოდ არის დაკავშირებული პირიდილის რგოლთან 2-პოზიციაში.

R_1 არის შერჩეულია შემდეგი ჯგუფიდან: ალკილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, კარბოქსილი, ამიდინო, გუანიდინო, კარბონილი (ე.ი. = O), ნიტრო, ციანო, აცილი, ალკილი, ჰალოგენალკილი, სულფონილი, სულფინილი, ალკოქსი, აკილთიო, კარბამილი, აცილამინო, სულფამილი, სულფონამიდი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი; სადაც აღნიშნული ამინო, ამიდინო, ალკილი, აცილი, სულფონილი, სულფინილი, ალკოქსი, ალკილთიო, კარბამილი, აცილამინო, სულფამილი, სულფონამიდი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰალოგენი, ჰალოგენალკილი, ჰიდროქსილი, კარბოქსილი, კარბონილი, ამინო, ალკილი, ალკოქსი, აცილი, სულფონილი, სულფინილი, ფოსფინატი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰიდროქსილი, კარბოქსილი, კარბონილი, ამინო, ჰალოგენი, ჰალოგენალკილი, ალკილი, ალკოქსი, ალკილთიო, სულფონილი, სულფინილი, აცილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი.


სხვა განხორციელების მიხედვით, R_1 შერჩეულია შემდეგი ჯგუფიდან: ალკილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, კარბონილი, ნიტრო, ციანო, აცილი, ალკილი, ჰალოგენალკილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამილი (ე.ი. $-\text{CONR}$ -ალკილი, სადაც R არის H ან ალკილი), ალკანოილამინი (ე.ი. $-\text{NRCO}$ -ალკილი, სადაც R არის H ან ალკილი), ალკილსულფამილი (ე.ი. $-\text{SO}_2\text{NR}$ -ალკილი, სადაც R არის H ან ალკილი), ალკილსულფონამიდი (ე.ი. $-\text{NR-SO}_2$ -ალკილი, სადაც R არის H ან ალკილი), კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი; სადაც აღნიშნული ამინო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამილი, ალკანოილამინი, ალკილსულფამილი, ალკილსულფონამიდი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ამინო, ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბონილი ან კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი,

რომლებიც არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია ჰიდროქსილით, ამინოთი, ჰალოგენით, ჰალოგენალკილით, ალკილით, ალკოქსით ან აცილით.


ერთერთ განხორციელებაში R_1 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული არილი ან ჰეტეროარილი. სხვა განხორციელებაში R_1 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ფენილის ჯგუფი. კიდევ სხვა განხორციელებაში R_1 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული პირიდინის ჯგუფი. კონკრეტულ განხორციელებაში R_1 შერჩეულია ჯგუფებიდან ფორმულით IIa, IIb, IIc, IId, IIe, IIg, IIh, Iii, IIj, IIk, IIm, IIo ან IIo:




IIa




IIb




IIc




IId




IIe




IIg




IIh




Iii




Iii




IIj




IIk




III



IIm



IIo



IIo

სადაც W არის O, S ან NR_7 , სადაც R_7 არის H, ალკილი, აცილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, სადაც თითოეული აღნიშნული ალკილი, აცილი, კარბოციკლი

და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია 1-3 ამინოთი, ჰალოგენით, ჰიდროქსილით და ჰალოგენალკილით; o არის 0-3. უპირატეს განხორციელებაში W არის S.

R₆, თითოეულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად არის ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, კარბოქსილი, ამიდინო, გუანიდინო, კარბონილი, ნიტრო, ციანო, აცილი, ალკილი, ჰალოგენალკილი, სულფონილი, სულფინილი, ალკოქსი, აკილთიო, კარბამოილი, აცილამინო, სულფამოილი, სულფონამიდი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი; სადაც აღნიშნული ამინო, ამიდინო, ალკილი, აცილი, სულფონილი, სულფინილი, ალკოქსი, ალკილთიო, კარბამოილი, აცილამინო, სულფამოილი, სულფონამიდი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰალოგენი, ჰალოგენალკილი, ჰიდროქსილი, კარბოქსილი, კარბონილი ან ამინო, ალკილი, ალკოქსი, აცილი, სულფონილი, სულფინილი, ფოსფინატი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომლებიც არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგით: ჰიდროქსილი, კარბოქსილი, კარბონილი, ამინო, ჰალოგენი, ჰალოგენალკილი, ალკილი, ალკოქსი, ალკილთიო, სულფონილი, სულფინილი, აცილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი.


კონკრეტულ განხორციელებაში R₆, თითოეულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად არის ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, კარბონილი, ნიტრო, ციანო, აცილი, ალკილი, სულფონილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამოილი, ალკანოილამინი, ალკილსულფამოილი, ალკილსულფონამიდი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი; სადაც აღნიშნული ამინო, ალკილი, კარბონილი, აცილი, სულფონილი, ალკილსულფონილი, ალკილსულფინილი, ალკოქსი, ალკილკარბამოილი, ალკანოილამინი, ალკილსულფამოილი, ალკილსულფონამიდი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფით: ამინო, ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბონილი ან კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, რომლებიც ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფებით: ჰიდროქსილი, ამინო, ჰალოგენი, ჰალოგენალკილი, ალკილი, ალკოქსი ან აცილი.


კონკრეტულ განხორციელებაში R₆, თითოეულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ალკილი (მაგალითად, მეთილი, ტრიფთორმეთილი, დიმეთილამინომეთილი, პიპერიდინილმეთილი, მორფოლინომეთილი, თიომორფოლინომეთილი); ჰალოგენი (მაგალითად, ქლორი); ალკოქსი (მაგალითად, მეთოქსი); კარბონილი (მაგალითად, მორფოლინოკარბონილი, აცეტილი); ჰეტეროციკლი (მაგალითად, მორფოლინო, N-მეთილ-პიპერაზინ-4-ილი, N-აცეტილ-პიპერაზინ-4-ილი, 1H-1,2,4-ტრიაზოლი); ალკილამინო (მაგალითად, i-ბუტილამინო, ბენზილამინო, ჰიდროქსიეთილამინო, მეთოქსიეთილამინო, დიმეთილამინოეთილამინო, მორფოლინოეთილამინო, მორფოლინოპროპილამინო, პიროლიდინ-2-ონ-ჩანაცვლებული პროპილამინო, იმიდაზოლ-ეთილამინო, იმიდაზოლ-პროპილამინო); არილამინო (მაგალითად, ფენილამინო); ალკილკარბამოილი (მაგალითად, დიმეთილკარბამოილი, i-ბუტილამინოკარბონილი); ალკილსულფამოილი (მაგალითად, პროპილამინოსულფონილი, i-ბუტილამინოსულფონილი, დიმეთილამინოსულფონილი, დიმეთილამინოეთილ ჰიდროქსიეთილამინოსულფონილი, მეთოქსიეთილამინოსულფონილი, მეთოქსიპროპილამინოსულფონილი, მეთილსულფონილეთილამინოსულფონილი, იმიდაზოლ-ჩანაცვლებული პროპილამინოსულფონილი, ჰიდროქსიპროპილამინოსულფონილი, 2-ჰიდროქსიპროპილამინოსულფონილი) ან სულფონილი (მაგალითად,

მეთილსულფონილი, ეთილსულფონილი, ამინოსულფონილი, დიმეთილამინოპროპილსულფონილი, N-მეთილ-პიპერაზინ-4-ილ-სულფონილი, მორფოლინ-4-ილ-სულფონილი, ტრიფთორმეთილსულფონილი).


უპირატეს განხორციელებაში R_7 არის H. სხვა განსაკუთრებულ განხორციელებაში R_7 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული აცილი. სხვა განხორციელების მიხედვით, R_7 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ალკილი (მაგალითად, მეთილი). სხვა განხორციელებაში R_7 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული აცილი (მაგალითად, აცეტილი, ბენზილი). კიდევ სხვა კონკრეტულ განხორციელებაში R_7 არის არასავალდებულოდ ჩანაცვლებული არილის ჯგუფი (მაგალითად, ფენილი, ბენზილი).

ერთერთ განხორციელებაში R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIa. ამ განხორციელებაში, R_6 შეიძლება იყოს ალკოქსი და ი არის 1, 2 ან 3. ერთერთი განხორციელების მიხედვით, IIa ჯგუფები არის ჯგუფი ფორმულით IIa¹ - IIa²⁸:






სხვა კონკრეტული განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIb. ამ განხორციელებაში R_6 შეიძლება იყოს ალკილი ან ჰალოგენალკილი (მაგალითად, CF_3). IIb ჯგუფების კონკრეტული მაგალითებია ჯგუფები ფორმულით IIb¹ - IIb³:




უპირატესი განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIc. ამ განხორციელებაში W შეიძლება იყოს S და ი არის O. სხვა განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IId. ამ განხორციელებაში ი შეიძლება იყოს O. კიდევ სხვა განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIe. ამ განხორციელებაში ი შეიძლება იყოს O. სხვა კონკრეტული განხორციელებისმიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIf. ამ განხორციელებაში ი შეიძლება იყოს O.

კიდევ სხვა უპირატესი განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIh. ამ განხორციელებაში ი შეიძლება იყოს 0 ან 2 და R_6 შეიძლება იყოს ალკილი ან არილი. კონკრეტულ განხორციელებაში, ჯგუფი IIh არის ჯგუფი ფორმულით IIh¹:



სხვა კერძო განხორციელების მიხედვით, R_1 არის ჯგუფი ფორმულით IIo. ამ განხორციელებაში ი შეიძლება იყოს 0 ან 2 და R_6 შეიძლება იყოს ალკილი


ან არილი. კონკრეტულ განხორციელებაში, ჯგუფი IIo არის ჯგუფი ფორმულით IIo¹:



R₂ არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, ალკილი, აცილი ან ალკოქსი, რომელთაგან თითოეული არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფებით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, ალკილსულფონილი ან ალკოქსი. n არის 0-3, მაგალითად 0 ან 1. ერთერთ განხორციელებაში R₂ არის ჰიდროქსილი. სხვა კონკრეტულ განხორციელებაში R₂ არის ალკილი ან ალკილი, რომელიც ჩანაცვლებულია ჰალოგენით, მეთილით ან ტრიფთორმეთილით. კონკრეტულ განხორციელებაში R₂ არის აცილი, მაგალითად ალკანოილი, მაგალითად, აცეტილი. სხვა განხორციელებაში R₂ არის ჰალოგენი, მაგალითად Cl ან F. კიდევ სხვა განხორციელებაში R₂ არის ალკოქსი, მაგალითად მეთოქსი ან ეთოქსი.

R₃ არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბოქსილი, ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამოილი, ალკილსულფიდი, სულფინილი, სულფონილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, სადაც თითოეული ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამოილი, ალკილსულფიდი, სულფინილი, სულფონილი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია შემდეგი ჯგუფებით: ჰიდროქსილი, ჰალოგენი, ამინო, ნიტრო, ალკილი, აცილი, სულფონილი ან ალკოქსი. განსაკუთრებული განხორციელების მიხედვით, R₃ არის ჰალოგენი, ჰიდროქსილი, კარბოქსილი, ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამოილი, ალკილსულფიდი, ალკილსულფინილი, ალკილსულფონილი, კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი, სადაც თითოეული ალკილი, აცილი, ალკოქსი, ალკოქსიკარბონილი, კარბამოილი, ალკილსულფიდი, ალკილსულფინილი, ალკილსულფონილი, კარბოციკლი და ჰეტეროციკლი არასავალდებულოდ ჩანაცვლებულია ჰიდროქსილით, ჰალოგენით, ამინოთი, ნიტროთი, ალკილით, აცილით, ალკილსულფონილით ან ალკოქსით; m არის 0 - 3. სხვა კონკრეტული განხორციელების მიხედვით, R₃ არის ჰალოგენი (მაგალითად, F), კარბოქსილი, არასავალდებულოდ ჩანაცვლებული ალკილი (მაგალითად, მეთილი, ჰიდროქსიმეთილი, დიმეთილამინომეთილი), ალკოქსიკარბონილი (მაგალითად, მეთოქსიკარბონილი) ან კარბამოილი (მაგალითად, დიმეთილამინოკარბონილი). კერძო განხორციელებაში m არის 0, მაგალითად R₃ არ არსებობს. სხვა კონკრეტულ განხორციელებაში m არის 1-3.


განსაკუთრებული განხორციელების მიხედვით, გამოგონების ნაერთები აისახება საერთო ფორმულით Ib:



Ib

სადაც X , R_1 , R_3 და m აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობები და R_8 არის ჰალოგენი. სხვა განხორციელებაში, გამოგონების ნაერთებს აქვს საერთო ფორმულა Ib და X არის NR_4CO . შემდეგ განხორციელებაში, გამოგონების ნაერთებს აქვს ფორმულა Ib და R_3 არის H ან მეთილი.


სხვა კერძო განხორციელების მიხედვით, გამოგონების ნაერთები აისახება საერთო ფორმულით Ib':



Ib'

სადაც X , R_3 , R_6 , m და o აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობები; R_8 არის ჰალოგენი; და რგოლი B არის კარბოციკლი ან ჰეტეროციკლი. ერთერთი კონკრეტული განხორციელების მიხედვით, R_8 არის Cl. ერთერთ განხორციელებაში რგოლი B არის ფენილი ან პირიდილი. სხვა კერძო განხორციელებაში X არის $NR_4C(O)$ და R_4 აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა.


სხვა კონკრეტული განხორციელების მიხედვით, გამოგონების ნაერთები აისახება საერთო ფორმულით Ic:



Ic

სადაც X , R_1 , R_3 და m აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობები. სხვა განხორციელებაში, გამოგონების ნაერთები აისახება საერთო ფორმულით Ib და X არის NR_4CO . შემდეგ განხორციელებაში, ნაერთები აისახება ფორმულით Ic და R_3 არის H ან მეთილი და m არის 0 ან 1.

სხვა კონკრეტული განხორციელების მიხედვით, გამოგონების ნაერთები აისახება საერთო ფორმულით Id:




Id


სადაც X , R_1 , R_3 და m აქვს ზემოთ განსაზღვრული მნიშვნელობები. სხვა განხორციელებაში, გამოგონების ნაერთები არის ნაერთები საერთო ფორმულით Ib და X არის NR_4CO . შემდეგ განხორციელებაში, ნაერთები აისახება ფორმულით Id და R_3 არის H, Cl ან ტრიფთორმეთილი და m არის 0 ან 1.

გამოგონების კონკრეტული ნაერთები, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს შემდეგ ნაერთებს:


1




2




3




4




5




6




7




8




9




10




11




12




13




14




15




16




17




18




19




20




21




22




23




24




25




26




27




28




29




30




31




32




33




34




35




36




37




38




39




40




41




42




43




44




45




46




47




48




49




50




51




52




53




54




55




56




57




58




59




60




61




62




63




64




65




66




67




68




69




70




71




72




73




74




75




76




77




78




79




80




81




82




83




84




85




86




87




88




89




90




91




92




93




94














95

























96
















































































































































































































































































გამოგონების ნაერთები შეიძლება შეიცავდეს ნახშირბადის ერთ ან მეტ ასიმეტრიულ ატომს. შესაბამისად, ნაერთები შეიძლება არსებობდეს დიასტერეომერების, ენანტიომერების ან მათი ნარევების სახით. გამოგონების ნაერთების სინთეზში რაციმატები, დიასტერეომერები ან ენანტიომერები შეიძლება გამოყენებული იყოს საწყისი ნაერთების სახით ან შუალედური ნაერთების სახით. ნაერთის დიასტერეომერებად დაყოფა შეიძლება განხორციელდეს ქრომატოგრაფიით ან კრისტალიზაციის გზით. ანალოგიურად, ენანტიომერული ნარევების დასაყოფად შესაძლებელი იგივე მეთოდების ან დარგში ცნობილი სხვა მეთოდების გამოყენება. ნახშირბადის თითოეული ასიმეტრიული ატომი შეიძლება იყოს R ან S კონფიგურაციაში და გამოგონების დაცვის ფარგლები მოიცავს ამ ორივე კონფიგურაციის მქონე ნაერთებს.


გამოგონება ასევე ეხება აღწერილი ნაერთების პროწამლებს. მისაღები პროწამლები მოიცავს ნაერთების ამინო-დაცულ და კარბოქსი-დაცულ წარმოებულებს, რომლებიც ფიზიოლოგიურ პირობებში, მაგალითად, ჰიდროლიზის შედეგად, იძლევა საწყის ნაერთს. პროწამლების კონკრეტულ კლასს მიეკუთვნება ნაერთები, რომლებშიც ამინო, ამიდილო, ამინოალკილენამინო, იმინოალკილენამინო ან გუანიდინო ჯგუფების აზოტის ატომი ჩანაცვლებულია ჰიდროქსილის (OH) ჯგუფით, ალკილკარბონილის (-CO-R) ჯგუფით, ალკოქსიკარბონილის (-CO-OR) ჯგუფით, აცილოქსიალკილ-ალკოქსიკარბონილის (-CO-O-R-O-CO-R) ჯგუფით, სადაც R არის ერთვალენტური ან ორვალენტური ჯგუფი, ზემოთ განსაზღვრულის მიხედვით ან ჯგუფი ფორმულით -C(O)-O-CP1P2-ჰალოგენალკილი, სადაც P1 და P2 ერთნაირია ან განსხვავებული და არის H, უდაბლესი ალკილი, უდაბლესი ალკოქსი, ციანო, ჰალოგენ უდაბლესი ალკილი ან არილი. ნაერთების პროწამლები მიიღება გამოგონებაში აღწერილი ნაერთების ურთიერთქმედებით აქტივირებულ აცილურ ნაერთთან, რის შედეგადაც გამოგონების ნაერთში არსებული აზოტის ატომი წარმოქმნის ბმას აქტივირებული აცილური ნაერთის კარბონილთან. შესაბამისად აქტივირებული კარბონილური ნაერთები შეიცავს ადვილად წამსვლელ ჯგუფს, რომელიც დაკავშირებულია კარბონილის ნახშირბადატომთან და მოიცავს მუავას ჰალოგენჰიდრილებს, აცილ ამინებს, აცილ პირიდინის მარილებს, აცილ ალკოქსიდებს, კარბოდ, აცილ ფენოქსიდებს, როგორიცაა p-ნიტროფენოქსი აცილი, დინიტროფენოქსი აცილი, ფთორფენოქსი აცილი და დიფთორფენოქსი აცილი. აღნიშნული რეაქციები ძირითადად ეგზოთერმულია და მიმდინარეობს ინერტულ გამხსნელში დაბალ ტემპერატურაზე, მაგალითად, (-78) - ~50°C-ზე. ჩვეულებრივ, ამგვარი რეაქციები ტარდება არაორგანული ფუძის, როგორიცაა კალიუმის

კარბონატი ან ნატრიუმის ბიკარბონატი, ან ორგანული ფუძის, როგორიცაა ამინი, პირიდინის ჩათვლით, TEA და სხვა, თანდასწრებით. პროწამლების მიღების ერთერთი მეთოდიკა აღწერილია დოკუმენტში USSN 08/843,369, შეტანის თარიღით 15 აპრილი 1997 წელი (რომელიც შეესაბამება PCT პუბლიკაციას WO9846576), რომელიც სრული შემადგენლობით არის ჩართული განაცხადში.

სინთეზი


გამოგონების ნაერთები მიიღება ორგანული სინთეზის სტანდარტული მეთოდიკების გამოყენებით კომერციული საწყისი ნაერთებიდან და რეაგენტებიდან. გასაგებია, რომ გამოგონების ნაერთების სინთეზისთვის გამოყენებული სინთეზის ხერხები დამოკიდებულია ნაერთში არსებულ კონკრეტულ ჩამნაცვლებლებზე და ამ პროცესში შეიძლება საჭირო იყოს ორგანულ სინთეზში მიღებული მრავალი სხვადასხვა დაცვისა და დეპროტექტირების პროცედურების გამოყენება. გამოგონების ნაერთები, სადაც Y არ არსებობს, მიიღება Negishi-ის შეუღლების მეთოდიკის გამოყენებით, შემდეგი ზოგადი სქემის 1 მიხედვით:

სქემა 1



სადაც პირიდილ თუთიის ბრომიდის (ან ალტერნატიულად, პირიდილთუთიის ქლორიდის) ურთიერთქმედებით იოდ ან ბრომ ჩანაცვლებულ რგოლთან A მიიღება საბოლოო ნაერთი Ia. ალტერნატიულად, გამოგონების ნაერთების Ia მიღება შეიძლება ბორირებული რგოლის A შეუღლებით სუზუკის რეაქციის პირობებში, რაც უზრუნველყოფს ბმას შესაბამის პირიდილსა და რგოლს A შორის, სქემის 2 მიხედვით.


სქემა 2



ამ სქემის თანახმად, ჰალოგენ-ჩანაცვლებული რგოლის A რეაქცია ბორონმუჯავას რთულ ეთერთან, როგორიცაა პინაკოლ დიბორანი, პალადიუმის კატალიზატორის, როგორიცაა $\text{PdCl}_2(\text{dppf})$ თანაობისას და მიღებული ბორონატის რთული ეთერის გაცხელება 2-ჰალოგენ-ჩანაცვლებული პირიდინის და პალადიუმის კატალიზატორის თანდასწრებით იძლევა საბოლოო ნაერთს Ia.


გამოგონების ნაერთები, სადაც Y არის NR_4 , მიიღება პალოგენ-ჩანაცვლებული რგოლის A სასურველი 2-ამინოპირიდინის გამოყენებით პალადიუმით კატალიზებადი ამინირების რეაქციის პირობებში, სქემის 3 მიხედვით.

სქემა 3



გამოგონების ნაერთები, სადაც X არის NR_4CO , მიიღება ზოგადი სქემის 4 მიხედვით, რომლის თანახმადც ხორციელდება ამინ-ჩანაცვლებული რგოლის A რეაქცია სასურველ მუავას ქლორანჰიდრიდან Cl-C(O)-R_1 .


სქემა 4



ალტერნატიულად, ამგვარი ნაერთების მიღება შეიძლება კარბოქსი-ჩანაცვლებული რგოლის A EDC კატალიზებადი შეუღლებით ამინ-ჩანაცვლებულ R_1 ჯგუფთან, მაგალითად $\text{R}_1\text{-NR}_4\text{H}$ ჯგუფთან. იგივე სქემის გამოყენება შეიძლება გამოგონებაში აღწერილი თიოამიდური ნაერთების, სადაც მაგალითად X არის $\text{NR}_4\text{C(S)}$, მისაღებადაც, აცილირების საფეხურზე შესაბამისი თიომუავას ქლორიდის Cl-C(S)-R_1 გამოყენებით.

გამოგონების ნაერთები, სადაც X არის C(O)NR_4 , მიიღება ანალოგიურად, ამინ-ჩანაცვლებული რგოლის A კარბოქსი-ჩანაცვლებულ R_1 ჯგუფთან ურთიერთქმედებით, კატალიზატორის სახით EDC-ს თანაობისას, სქემის 5 მიხედვით.


სქემა 5



მსგავსი სქემის გამოყენება შეიძლება გამოგონების თიოამიდური ნაერთების მისაღებადაც, სადაც X არის C(S)NR_4 , რაც ითვალისწინებს შესაბამისი თიომუავა-ჩანაცვლებული რგოლის A (მაგალითად, -C(S)OH) გამოყენებას ან ამიდის გარდაქმნას ლავესონის რეაგენტის გამოყენებით.

გამოგონების ნაერთები, სადაც X არის $\text{NR}_4\text{C(O)NH}$, შეიძლება მიღებული იყოს ზოგადი სქემის 6 მიხედვით, ამინ-ჩანაცვლებული რგოლის A ურთიერთქმედებით შესაბამის იზოციანატთან $\text{R}_1\text{-NCO}$.


სქემა 6



იგივე სქემის გამოყენება შეიძლება გამოგონების თიოშარდოვანული ნაერთების, სადაც X არის $NR_4C(S)NH$, მისაღებადაც, რაც ითვალისწინებს შესაბამისი იზოთიოციანატის R_1-NCS გამოყენებას იზოციანატის R_1-NCO ნაცვლად.

გამოგონების ნაერთები, სადაც X არის NR_4SO_2 , მიიღება ზოგადი სქემის 7 მიხედვით, ამინ-ჩანაცვლებული რგოლის A ურთიერთქმედებით შესაბამის სულფონილ ქლორიდთან $R_1-S(O_2)Cl$ არა-ნუკლეოფილური ფუძის, როგორცაა TEA ან დიიზოპროპილეთილამინი, თანაობისას, სასურველი სულფონამიდის მიღებით.


სქემა 7



გამოგონების ნაერთები, სადაც X არის NR_4SO , მიიღება ანალოგიურად, შესაბამისი სულფინილ ქლორიდის $R_1-SO-Cl$ გამოყენებით სულფონილ ქლორიდის $R_1-S(O_2)Cl$ ნაცვლად.

გამოგონების ნაერთები სტრუქტურული ფორმულით Ib', სადაც X არის $NHCO$ (მაგალითად, ფორმულით Ib'') მიიღება ზოგადი სქემის 8 მიხედვით, სადაც R_3 , R_6 , m და o აქვს გამოგონებაში მითითებული მნიშვნელობები და Q არის Cl, Br ან I; Q' არის ჰალოგენი, OH, OR, სადაც R არის გამააქტიურებელი ჯგუფი; L არის Br, I ან OTf (მაგალითად, $O-SO_2-CF_3$):

სქემა 8



ამ სქემის თანახმად, ახორციელებენ თუთიის ჰალოგენ პირიდინული რეაგენტის (a) ურთიერთქმედებას 2-ქლორ-5-ნიტრო-ბენზოლთან (b) ნეგიშის შეუღლების რეაქციის პირობებში, შესაბამისი კატალიზატორის, როგორცაა პალადიუმ ტეტრაკის(ტრიფენილფოსფინის) კომპლექსის ($\text{Pd}(\text{PPh}_3)_4$), თანაობისას. კონკრეტულ განხორციელებაში, პალადიუმ ტეტრაკის(ტრიფენილფოსფინის) კატალიზატორი სტაბილიზებულია ტრიფენილფოსფინით (PPh_3). ერთერთ განხორციელებაში, Q არის Br. სხვა განხორციელებაში, L არის I. ერთ კონკრეტულ განხორციელებაში, შეუღლების რეაქცია ტარდება $\sim 50 - 60^\circ\text{C}$ -ზე.

ნიტრობენზოლური რეაგენტი (b) შეიძლება მიღებული იქნეს შესაბამისი ამინის (მაგალითად, 2-ქლორ-5-ნიტროანილინის) აქტივაციით წყლიან გოგირდმჟავაში, ნატრიუმის ნიტრიტის გამოყენებით და L ჯგუფის ჩანაცვლებით (მაგალითად, KI-ით ან KBr-ით). ერთერთ განხორციელებაში, L არის I. ერთ კონკრეტულ განხორციელებაში, რეაქცია ტარდება $\sim 15^\circ\text{C}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე.

მიღებული შუალედური ნაერთის (c) აღდგენა, მაგალითად Fe, Zn ან SnCl_2 გამოყენებით მჟავას თანაობისას, იძლევა ამინურ შუალედურ ნაერთს (d). ერთი კონკრეტული განხორციელების მიხედვით, შუალედური ნაერთის (c) აღსადგენად გამოიყენება Fe, მაგალითად, AcOH-ის EtOH-ში თანაობისას. ერთერთი განხორციელების მიხედვით, შუალედური ნაერთის (c) აღსადგენად გამოიყენება Zn, მაგალითად, AcOH-ის EtOH-ში თანაობისას. ერთერთი კონკრეტული განხორციელების მიხედვით, შუალედური ნაერთის (c) აღდგენა ხორციელდება SnCl_2 -ით, მაგალითად HCl-ის თანაობისას EtOH-ში. ერთი განხორციელების თანახმად, აღდგენის რეაქცია ტარდება $\sim 60^\circ\text{C}$ -ზე.

და ბოლოს, შუალედური ნაერთის (d) რეაქცია აქტივირებულ მჟავასთან (e) იძლევა საბოლოო ნაერთს Ib". ერთი განხორციელების მიხედვით, აქტივირებული მჟავა (e) არის მჟავას ჰალოგენაზიდრიდი (მაგალითად, Q' არის ქლორი) ან აქტივირებული რთული ეთერი (მაგალითად, Q' არის O-EDC). ერთერთი განხორციელების მიხედვით, რეაქცია ტარდება $\sim 0^\circ\text{C}$ -ზე.

გამოგონების ნაერთები ახდენს ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემის ინჰიბირებას და მათი გამოყენება შეიძლება აბერანტული ჰეჯ-ჰოგ სიგნალის გადაცემასთან დაკავშირებული კიბოს სამკურნალოდ, მაგალითად როდესაც ფოლაქი ასუსტებს ან არაადექვატურად ახდენს გაგლუვების რეპრესიას (ფუნქციური ფენოტიპის მიერ Ptc ფუნქციის დაკარგვა) და/ან როდესაც გაგლუვება აქტიურია ფოლაქით რეპრესიისადმი (ფუნქციური ფენოტიპის Smo მატება). ამგვარი ტიპის კიბოს მაგალითებია ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა, ნეიროექტოდერმული სიმსივნეები, როგორცაა მედულაბლასტომა, მენინგიომა, ჰემანგიომა, გლიობლასტომა, პანკრეასის ადენოკარცინომა, ფილტვის სკვამოზური კარცინომა, ფილტვის წვრილუჯრედოვანი კარცინომა, ფილტვის არა-წვრილ უჯრედოვანი კარცინომა, მკერდის კარცინომა, რაბდომიოსარკომა, საყლაპავის კიბო, კუჭის კიბო, სანაღვლე გზების კიბო, თირკმლის კარცინომა, ფარისებრი ჯირკვლის კარცინომა. გამოგონების ნაერთების შეყვანა შეიძლება სხვა კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობასთან ერთად, სადაც გამოგონების ნაერთის შეყვანა შეიძლება განხორციელდეს კიბოს საწინააღმდეგო სხვა სახის მკურნალობის ჩატარებამდე, ამ მკურნალობასთან ერთდროულად ან ამ მკურნალობის შემდეგ, სადაც კიბოს

საწინააღმდეგო სხვა მეურნეობა მოიცავს სხივურ თერაპიას ან ქიმიოთერაპიას. მისაღები ციტოსტატიკური ქიმიოთერაპიული აგენტები, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს (i) ანტიმეტაბოლიტებს, როგორიცაა ციტარაბინი, ფლუდარაბინი, 5-ფთორ-2'-დეოქსიურიდინი, გემციტაბინი, ჰიდროქსიმარდოვანა ან მეთოტრექსატი; (ii) ღნმ-ფრაგმენტაციის აგენტებს, როგორიცაა ბლეომიცინი, (iii) ღნმ-ჯვარედინი ბმების მაფორმირებელ აგენტებს, როგორიცაა ქლორამბუცილი, ცისპლატინი, ციკლოფოსფამიდი ან აზოტის მუსტარდი; (iv) ინტერსელატირების აგენტებს, როგორიცაა ადრიამიცინი (დოქსორუბიცინი) ან მიტოქსანტრონი; (v) პროტეინის სინთეზის ინჰიბიტორებს, როგორიცაა L-ასპარაგინაზა, ციკლოჰექსიმიდი, პურომიცინი ან დიფტერიის ტოქსინი; (vi) ტოპოიზომერაზა I საწამლავეებს, როგორიცაა კამპტოტეცინი ან ტოპოტეკანი; (vii) ტოპოიზომერაზა II საწამლავეებს, როგორიცაა ეტოპოზიდი (VP-16) ან ტენიპოზიდი; (viii) მიკროტუბულებზე მოქმედ აგენტებს, როგორიცაა კოლცემიდი, კოლხიცინი, პაკლიტაქსელი, ვინბლასტინი ან ვინკრისტინი; (ix) კინაზას ინჰიბიტორებს, როგორიცაა ფლავოპირიდოლი, სტაუროსპორინი, STI571 (CPG 57148B) ან UCN-01 (7-ჰიდროქსისტაუროსპორინი); (x) სხვადასხვაგვარ შემუშავებულ აგენტებს, როგორიცაა თიოპლატინი, PS-341, ფენილბუტირატი, ET-18-OCH₃ ან ფარნეზილ ტრანსფერაზას ინჰიბიტორები (1-739749, L-744832); პოლიფენოლებს, როგორიცაა ქვერცეტინი, რესვერატროლი, პიცეატანოლი, ეპიგალოკატეჩინის გალატი, თეაფლავინები, ფლავანოლები, პროციანიდინები, ბეტულინიმევა და მათი წარმოებულები; (xi) ჰორმონებს, როგორიცაა გლუკოკორტიკოიდები ან ფენრეტინიდი; (xii) ჰორმონის ანტაგონისტებს, როგორიცაა ტამოქსიფენი, ფინასტერიდი ან 1HRH ანტაგონისტები. ერთ კონკრეტულ განხორციელებაში, გამოგონების ნაერთების თანაშეყვანა ხდება შემდეგიდან შერჩეულ ციტოსტატიკურ ნაერთთან ერთად: ცისპლატინი, დოქსორუბიცინი, ტაქსოლი, ტაქსოტერი და მიტომიცილი C.

აქტიური ნაერთების სხვა კლასს, რომელთა გამოყენება შეიძლება გამოგონების თანახმად, მიეკუთვნება სენსიბილიზაციის უნარიანი ან სიკვდილის რეცეპტორებთან შეკავშირების გზით აპოპტოზის გამომწვევი აგენტები (“სიკვდილის რეცეპტორის აგონისტები”).

ამგვარი აგონისტები მოიცავს სიკვდილის რეცეპტორის ლიგანდებს, როგორიცაა სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი α (TNF- α), სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი β (TNF- β , ლიმფოტოქსინ- α), LT- β (ლიმფოტოქსინ- β), TRAIL (Apo2L, DR4 ლიგანდი), CD95 (Fas, APO-I) ლიგანდი, TRAMP (DR3, Apo-3) ლიგანდი, DR6 ლიგანდი, ასევე აღნიშნული ლიგანდების ფრაგმენტები და წარმოებულები. ერთერთ განხორციელებაში, სიკვდილის რეცეპტორის ლიგანდი არის TNF- α . სხვა განხორციელებაში, სიკვდილის რეცეპტორის ლიგანდი არის Apo2L/TRAIL. გარდა ამისა, სიკვდილის რეცეპტორების აგონისტები მოიცავს სიკვდილის რეცეპტორის მიმართ აგონისტურ ანტისხეულებს, როგორიცაა ანტი-CD95 ანტისხეული, ანტი-TRAIL-R1 (DR4) ანტისხეული, ანტი-TRAIL-R2 (DR5) ანტისხეული, ანტი-TRAIL-R3 ანტისხეული, ანტი-TRAIL-R4 ანტისხეული, ანტი-DR6 ანტისხეული, ანტი-TNF-R1 ანტისხეული და ანტი-TRAMP (DR3) ანტისხეული, ასევე ნებისმიერი აღნიშნული ანტისხეულის ფრაგმენტი ან წარმოებულები.

აპოპტოზის მიმართ უჯრედების სენსიბილიზაციის მიზნით, გამოგონების ნაერთების გამოყენება შეიძლება ასევე სხივურ თერაპიასთან

კომბინაციაში. ფრაზა “სხივური თერაპია“ აღნიშნავს ელექტრომაგნიტური ან კორპუსკულური გამოსხივების გამოყენებით ნეოპლაზიის მკურნალობას. სხივური თერაპია ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც მაღალი დოზით სამიზნე უბნის დასხივების შედეგი უნდა იყოს როგორც სიმსივნის, ისე ნორმალური ქსოვილების რეპროდუქციური უჯრედების მოკვდინება. დასხივების დოზის რეჟიმი ძირითადად განისაზღვრება გამოსხივების შთანთქმული დოზის (რად), დროის და ფრაქციონირების მიხედვით და მისი განსაზღვრა ხდება ონკოლოგის მიერ. პაციენტის მიერ მიღებული გამოსხივების ოდენობა დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, როგორიცაა სიმსივნის ადგილი ორგანიზმში სხვა ორგანებთან მიმართებით და მისი გავრცელება. რადიოთერაპიული აგენტების მაგალითები, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს სხივური თერაპიისთვის მისაღებ ცნობილ საშუალებებს (Hellman, Principles of Radiation Therapy, Cancer, in Principles I and Practice of Oncology, 24875 (Devita et al., 4th ed., vol 1, 1993)). სხივური თერაპიის უკანასკნელი მიღწევები მოიცავს სამ განზომილებიანი კონფორმაციული ექსტერნალური სინათლის წყაროთი დასხივებას, ინტენსიურად მოდულირებად სხივურ თერაპიას (IMRT), სტერეოტაქტიკურ რადიოქირურგიას და ბრაქითერაპიას (ინტერსტიციური სხივური თერაპია), ასევე გამოსხივების წყაროს მოათესებას უშუალოდ სიმსივნეში, იმპლანტის სახით. მკურნალობის აღნიშნული მოდულობები უზრუნველყოფს დასხივების უმეტესი დოზის სიმსივნეში მიწოდებას, რაც განაპირობებს მათ გაზრდილ ეფექტურობას იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებშიც გამოიყენება გამოსხივების სტანდარტული ექსტერნალური წყაროები.

რადიოთერაპიული მიზნებისთვის ყველაზე ეფექტურია მაიონიზებული გამოსხივება ბეტა-გამომსხივარი რადიონუკლიდებით, მაიონიზებული ნაწილაკების წრფივი ენერგიის ზომიერი გადატანის (LET) და მისი მოქმედების უშუალოდ ზღვრების გამო (ჩვეულებრივ, რამდენიმე მილიმეტრი ქსოვილის შიგნით). გამა სხივებით ხდება უფრო მცირე დოზების მიწოდება გაცილებით დიდ მანძილზე. ალფა ნაწილაკები ასახავს სხვა უკიდურესობას, მათი საშუალებით ხდება ძალიან მაღალი LET დოზის მიწოდება, მაგრამ მათ აქვს განსაკუთრებულად შეზღუდული დიაპაზონი, და ამდენად, საჭიროა განხორციელდეს მათი მჭიდრო კონტაქტი სამკურნალო ქსოვილის უჯრედებთან. გარდა ამისა, ალფა ნაწილაკებს ასხივებს ძირითად მძიმე ლითონები, რომელთა შესაძლებლობა შეზღუდულია ქიმიურად და არსებობს დიდი რისკი რადიონუკლიდების შეკავშირებისა იმ უბანთან, სადაც ტარდება მკურნალობა. იმ სიმსივნეზე დამოკიდებულებით, რომელსაც უტარდება მკურნალობა, გამოგონების დაცვის ფარგლები მოიცავს ყველა ტიპის ცნობილ გამომსხივარ საშუალებას. გარდა ამისა, გამოგონება ეხება იონ-ს მსგავს ყველა ტიპის გამოსხივებას, როგორიცაა მაგალითად ულტრაიისფერი (უი) გამოსხივება, მაღალი ენერგიის ხილული სინათლე, მიკროტალღებით გამოსხივება (ჰიპერთერმული თერაპია), ინფრაწითელი (იწ) გამოსხივება და ლაზერები. კერძო განხორციელებაში, გამოიყენება უი გამოსხივება.

გამოგონების ნაერთები ახდენს ანგიოგენეზის ინჰიბირებას და ამდენად, მათი გამოყენება შეიძლება ანგიოგენეზით განპირობებული ისეთი დაავადებების ან დარღვევების სამკურნალოდ, როგორიცაა სიმსივნე, კერძოდ, სოლიდური სიმსივნე, როგორიცაა მსხვილი ნაწლავის, ფილტვის, პანკრეასის, საკვერცხის, მკერდის კიბოები და გლიომა. გარდა ამისა, გამოგონების ნაერთების გამოყენება შეიძლება მაკულის დეგენერაციის სამკურნალოდ, მაგალითად, ასაკით განპირობებული სველი მაკულარული დეგენერაციის

საკურნალოდ. გამოგონების ნაერთების გამოყენება შეიძლება ისეთი ანთებითი/იმუნური დაავადებების სამკურნალოდაც, როგორიცაა კრონის დაავადება, ნაწლავის ანთებითი დაავადება, შაგრენის სინდრომი, ასთმა, ორგანოს ტრანსპლანტატის უკუგდება, სისტემური წითელი მგლურა, რევმატოიდული ართრიტი, ფსორიაზული ართრიტი და გაფანტული სკლეროზი. გამოგონების ნაერთების გამოყენება შეიძლება დეპილატორების სახითაც.

გამოგონება ასევე მოიცავს ფარმაცევტულ კომპოზიციებს ან მედიკამენტებს, რომლებიც შეიცავს გამოგონების ნაერთსა და თერაპიულად ინერტულ მატარებელს, გამზავებელს ან ექსციპიენტს, და ასევე აღნიშნული კომპოზიციების და მედიკამენტების მისაღებად გამოგონების ნაერთების გამოყენების ხერხებს. ჩვეულებრივ, გამოგონების ნაერთები, რომლებიც გამოიყენება გამოგონების ხერხებში, ფორმულირებულია მათი შერევის გზით ფიზიოლოგიურად მისაღებ მატარებლებთან, როგორიცაა რეციპიენტების მიმართ არა-ტოქსიკური მატარებლები, გალენური შეყვანის გზისთვის მისაღები დოზითა და კონცენტრაციით, ოთახის ტემპერატურაზე და შესაბამის pH-ზე. შემაღენლობის pH ძირითადად დამოკიდებულია ნაერთის კონკრეტულ დანიშნულებაზე და კონცენტრაციაზე, რაც შეიძლება იყოს ~3 - 8 ფარგლებში. ერთერთი კონკრეტული შემაღენლობა ფორმირებულია აცეტატის ბუფერში, pH 5. გამოგონების ნაერთები შეიძლება იყოს სტერილური ფორმულაციის შემაღენლობაში. ნაერთი შეიძლება იყოს მყარი კომპოზიციის, ასევე ლიოფილიზებული ფორმულაციების ან წყალხსნარების შემაღენლობაში.

გამოგონებაში აღწერილი კომპოზიციების ფორმულირება, დოზირება და შეყვანა ხორციელდება სამედიცინო პრაქტიკის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტორები მოიცავს კონკრეტულ დარღვევას, რომლის სამკურნალოდაც გამოიყენება კომპოზიცია, კონკრეტულ ძუძუმწოვარს, რომელსაც უტარდება მეურნალობა, მოცემული პაციენტის კლინიკურ მდგომარეობას, დარღვევის გამომწვევ მიზეზს, აგენტის მიწოდების უბანს, შეყვანის ხერხს, შეყვანის რეჟიმს და სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილ სხვა ფაქტორებს. ნაერთის “ეფექტური რაოდენობა”, რომელიც გამოიყენება აღნიშნული მიზნისთვის არის ჰეჯჰოგ სიგნალის გადაცემის მექანიზმის შესამცირებლად აუცილებელი მინიმალური რაოდენობა ან ნაერთის იმ სიმსივნის ზომის, მოცულობის ან მასის შემცირებისათვის აუცილებელი მინიმალური რაოდენობა, რომელიც პასუხისმგებელია ჰეჯჰოგ სიგნალის გადაცემაზე ან სიმსივნის ზომის, მოცულობის ან მასის მატების შემცირებისთვის საჭირო რაოდენობა იმ სიმსივნის ზრდასთან შედარებით, რომელშიც არ ხდება გამოგონების ნაერთის შეყვანა. ალტერნატიულად, ნაერთის “უეფექტური რაოდენობა” აღნიშნავს ნაერთის ისეთ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ავთვისებიანი უჯრედების რაოდენობის შესამცირებლად ან ავთვისებიანი უჯრედების რაოდენობის მატების სიჩქარის შესამცირებლად. ალტერნატიულად, “ეფექტური რაოდენობა” არის გამოგონების ნაერთის ისეთი რაოდენობა, რომელიც საჭიროა ანტი-ჰეჯჰოგ მექანიზმის მიმართ მგრძნობიარე სიმსივნის მქონე პაციენტების სიცოცხლისუნარიანობის გასაზრდელად. აღნიშნული რაოდენობა შეიძლება იყოს ნორმალური უჯრედებისადმი ან ძუძუმწოვრისადმი ტოქსიკურ რაოდენობაზე ნაკლები. არა-ავთვისებიანი მდგომარეობების შემთხვევაში, “ეფექტური რაოდენობა” აღნიშნავს ნაერთის რაოდენობას, რომელიც საჭიროა კონკრეტული გამოვლინების ან მისი სიმპტომების სიმძიმის შესასუბუქებლად.

ძირითადად, გამოგონების ნაერთის ფარმაცევტულად ეფექტური რაოდენობის დღიური პარენტერალური დოზა არის $\sim 0.01 - 100$ მგ/კგ, მაგალითად $\sim 0.1 - 20$ მგ/კგ ან $\sim 0.3 - 15$ მგ/კგ/დღეში პაციენტის სხეულის მასაზე გაანგაშირებით. პერორალური დოზური ერთეულის ფორმები, როგორიცაა ტაბლეტები და კაფსულები, შეიძლება შეიცავდეს $\sim 25 - 1000$ მგ გამოგონების ნაერთს.

გამოგონების ნაერთების შეყვანა შეისაძლებელია ნებისმიერი მისაღები გზით, რაც მოიცავს პერორალურ, ტოპიკურ, ტრანსდერმალურ, პარენტერალურ, კანქვეშ, რექტალურ, ინტრაპერიტონიულ, ინტრაულმონარულ და ინტრანაზალურ გზებს და თუ მოითხოვს საჭიროება, გამოგონების ნაერთის შეყვანა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ დაზიანების უბანში. პარენტერალური ინფუზიები მოიცავს ინტრამუსკულარულ, ინტრავენურ, ინტრარტერიულ, ინტრაპერიტონიულ ან კანქვეშ შეყვანას. მისაღები პერორალური დანიშნულების დოზური ფორმის ტაბლეტი, რომელიც შეიცავს ~ 25 მგ, 50 მგ, 100 მგ, 250 მგ ან 500 მგ გამოგონების ნაერთს, რომელიც ფორმულირებულია $\sim 90 - 30$ მგ უწყლო ლაქტოზაში, $5-40$ მგ კროსკარმელოზა ნატრიუმში, $\sim 5 - 30$ მგ პოლივინილპიროლიდონში (PVP) K30 და $\sim 1 - 10$ მგ მაგნიუმის სტეარატიში. პირველ ეტაპზე ერთმანეთთან ურევენ დაფხვიერებულ ინგრედიენტებს და მიღებულ ნარევს ურევენ PVP-ს ხსნართან. მიღებულ კომპოზიციას აშრობენ, ახდენენ მის გრანულირებას, შერევენ მაგნიუმის სტეარატთან და შესაბამისი მოწყობილობის გამოყენებით ნარევს წნეხზე ტაბლეტებად. აეროზოლის ფორმულაციის მისაღებად გამოგონების ნაერთს, მაგალითად $5 - 400$ მგ რაოდენობით, ხსნიან შესაბამის ბუფერულ ხსნარში, მაგალითად ფოსფატურ ბუფერში, საჭიროების შემთხვევაში, ამატებენ ტონიზაციის აგენტს, მაგალითად მარილს, როგორიცაა ნატრიუმის ქლორიდი. ხსნარს ჩვეულებრივ, ფილტრავენ, მაგალითად 0.2 მიკრონიან ფილტრზე, მინარევების მოსაცილებლად. ტოპიკური შემადგენლობები მოიცავს მაღამოებს, კრემებს, ლოსიონებს, ფხვნილებს, ხსნარებს, პესარიებს, სპრეის, აეროზოლებს და კაფსულებს. მაღამოები და კრემები შეიძლება ფორმულირებული იყოს წყლიან ან ზეთოვან ფუძეში, რომელიც დამატებით შეიცავს შესაბამის შემასქელებელ და/ან გელირების აგენტებს და/ან გამხსნელებს. ასეთი ფუძეებია წყალი და/ან ზეთი, როგორიცაა თხევადი პარაფინი ან მცენარეული ზეთები, როგორიცაა არაქისის ზეთი ან აბუსალათინის ზეთი ან გამხსნელები, როგორიცაა პოლიეთილენგლიკოლი. გამოსაყენებლად მისაღები შემასქელებელი აგენტებია მყარი პარაფინი, ალუმინის სტეარატი, ცეტოსტეარილის სპირტი, პოლიეთილენ გლიკოლები, მიკროკრისტალური ცვილი და ფუტკრის ცვილი. ლოსიონების ფორმულირება შესაძლებელია წყლიან ან ზეთოვან ფუძეში, რომელიც შეიძლება ასევე შეიცავდეს მამულგირებელ აგენტებს, სტაბილიზატორებს, დისპერსანტებს, მასუსპენდირებელ აგენტებს ან შემასქელებელ აგენტებს. გარეგანი დანიშნულების ფხვნილების ფორმულირება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ მისაღებ ფხვიერ ფუძეში, როგორიცაა ტალკი, ლაქტოზა ან სახამებელი. წვეთების ფორმულირება შეიძლება წყლიან ან არა-წყლიან ფუძეში, რომელიც ასევე შეიცავს ერთ ან მეტ დისპერსანტს, სოლუბილიზატორს ან მასუსპენდირებელ აგენტს.

მაგალითები

გამოგონების უფრო სრულად გაგებისთვის ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები. წარმოდგენილი მაგალითები არ ზღუდავს გამოგონების დაცვის ფარგლებს. განაცხადში გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურები:

BuOH: ბუტანოლი;

DIPEA: დიიზოპროპილეთილამინი;

DMA: NN-დიმეთილაცეტამიდი;

DMAP: 4-დიმეთილამინოპირიდინი;

DME: 1,2-დიმეთოქსიეთანი;

DMF: დიმეთილფორმამიდი;

EDC: 1-ეთილ-3-(3-დიმეთილამინოპროპილ)კარბოდიმიდი;

HATU: O-(7-აზობენზოტრიასოლ-1-ილ)-1,1,3,3-ტეტრაჰიდრო-2H-1,2,4-ტრიასოლი-6-ონი;

ჰექსაფთორფოსფატი;

HPLC: მაღალი გადაწყვეტის თხევადი ქრომატოგრაფია

MPLC: თხევადი ქრომატოგრაფია საშუალო წნევის პირობებში

NBS: N-ბრომსუქცინიმიდი;

TEA: ტრიეთილამინი;

TASF: ტრის(დიმეთილამინო)სულფონიუმ დიფთორტრიმეთილსილიკატი;

THF: ტეტრაჰიდროფურანი;

EtOH: ეთანოლი;

MeOH: მეთანოლი;

მკლ: მიკროლიტრი


თუ არ არის სპეციალური მითითება, ყველა რეაგენტი მიღებულია კომერციული წყაროდან. რეაქციები ტარდება ღუმელში გამშრალ მინის ჭურჭელში, აზოტის ატმოსფეროში. ჰაერისა და ტენის მიმართ მგრძნობიარე სითხეებისა და ხსნარების გადატანისთვის გამოიყენება შპრიცი ან უჟანგავი ფოლადის კანულა. ორგანული ხსნარების კონცენტრირება ხორციელდება დაბალ წნევაზე (~15 მმ Hg) როტაციული აორთქლებით. თუ არ არის სპეციალური მითითება, გამხსნელების მომწოდებელია კომერციული წყარო. პროდუქტების ქრომატოგრაფიული გასუფთავება ხორციელდება Isco CombiFlash Companion-ის და შესაბამისი არის გამოყენებით. რეაქციის მიმდინარეობის დრო მითითებულია მხოლოდ ილუსტრირების მიზნით. რეაქციის მიმდინარეობაზე დაკვირვებისთვის გამოიყენება თხელფენოვანი ქრომატოგრაფია (ოშპ) და თხევადი ქრომატოგრაფია – მას სპექტრომეტრია (LC-MS). თხელფენოვანი ქრომატოგრაფია (ოშპ) ტარდება EM Science სილიკაგელის 60 F₂₅₄ ფირფიტებზე (250 მკმ). ქრომატოგრაფიის ვიზუალიზაციისთვის გამოიყენება ფლუორესცენციის შთანთქმა. LC-MS იღებენ Shimadzu 10AD LC საშუალებით Phenomenex სვეტზე (50 x 4.6 მმ, 5 მკმ) 3 მლ/წთ პირობებში. მონიტორინგისთვის გამოიყენება Shimadzu SPD-10A დეტექტორი. მარტივი კვადროპოლური მას სპექტრომეტრია ხორციელდება Applied Biosystems მას სპექტრომეტრით. ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) სპექტრები გადაღებულია Varian Inova სპექტრომეტრზე, ¹H-თვის 400 მჰც პირობებში, შიდა სტანდარტის სახით ტეტრაჰიდროსილანის (TMS) მიმართ და გამოსახულია მედილიონედ ნაწილებში (მნ). ¹H ბმრ მონაცემები წარმოდგენილია შემდეგნაირად: ქიმიური წანაცვლება (δ, მნ), მულტიპლეტობა (s, სინგლეტი; bs, ფართო სინგლეტი; d, დუბლეტი; t, ტრიპლეტი; q, კვარტეტი; quint, კვინტეტი; sext, სექსტეტი; hept, ჰეპტეტი; m, მულტიპლეტი; bm, ფართო მულტიპლეტი). ყველა საბოლოო პროდუქტის სტრუქტურა და სისუფთავე

დადასტურებულია შემდეგი მეთოდებიდან სულ მცირე ერთი მეთოდის გამოყენებით LC-MS, ბმრ, მზძ.

მაგალითი 1 ზოგადი პროცედურები


მაგალითების 2 – 51 მიზნობრივ ნაერთებს იღებენ შემდეგი ზოგადი პროცედურების მიხედვით.

A: შეუღლების პროცედურა სუზუკის მიხედვით



კალიუმის კარბონატის 2M წყალხსნარს (5.0 ეკვ.) და 4 : 1 ტოლუოლი : ეთანოლის ნარევის (2.5 მლ) ათავსებენ მიკროტალღებით დასხივებისთვის განკუთვნილ მოწყობილობაში და ამატებენ შესაბამის ბორონატის ეთერს (2.6 ეკვ.), არილ ჰალოგენიდს (0.35 მმოლი, 1.0 ეკვ.) და $\text{Pd(PPh}_3)_4$ -ს (0.04 ეკვ.). ჭურჭელს ხუფავენ და აცხელებენ მიკროტალღებით დასხივების და მორევის პირობებში 160°C-ზე 10 წუთის განმავლობაში. ხსნარს ასხავენ ნატრიუმის ჰიდროქსიდის 2M წყალხსნარში (20 მლ), აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით (2 x 20 მლ), აშრობენ (MgSO_4) და აკონცენტრირებენ. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (პირობები მოყვანილია ქვემოთ) და იღებენ მიზნობრივ პროდუქტს.

B: შეუღლების პროცედურა ნეგიშის მიხედვით




X = I ან Br

R = H, 3-Me, 4-Me, 5-Me, 6-Me


არილ თუთიის ბრომიდს (0.5M ხსნარი THF-ში, 2.5 ეკვ.) ათავსებენ მიკროტალღებით დასხივებისთვის განკუთვნილ გამშრალ ჭურჭელში და ამატებენ შესაბამის არილ ჰალოგენიდს (1.0 ეკვ.) და $\text{Pd(PPh}_3)_4$ -ს (0.04 ეკვ.). ჭურჭელს ხუფავენ და აცხელებენ მიკროტალღებით დასხივებისა და მორევის პირობებში, 140°C-ზე 10 წუთის განმავლობაში. ნედლ სარეაქციო ნარევის აკონცენტრირებენ, ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (პირობები მოყვანილია ქვემოთ) და იღებენ მიზნობრივ პროდუქტს.

C: არილის ნიტრო ჯგუფის აღდგენა რკინის გამოყენებით




რკინის ფხვნილის (6.0 ეკვ.) ხსნარს AcOH/EtOH-ის ნარევეში (1 : 2, 2M ხსნარი) 60°C-ზე ნელა ამატებენ შესაბამისი ნიტრო არილის (1 მმოლი, 1 ეკვ.) ხსნარს AcOH/EtOH-ის ნარევეში (1 : 1, 0.42 M ხსნარი). ხსნარს ურევენ 70°C-ზე 30-60 წუთის განმავლობაში. სარეაქციო ნარევეს აცივებენ 23°C-მდე, ფილტრავენ ცელიტზე, რეცხავენ ეთილ აცეტატით და აკონცენტრირებენ. ზეთოვან ნაშთს ხსნიან ეთილ აცეტატში (30 მლ), რეცხავენ NaHCO₃-ის ნაჯერი წყალხსნარით (2 x 15 მლ) და წყლით (2 x 10 მლ), აშრობენ (MgSO₄) და აკონცენტრირებენ. ზეთოვან ნაშთს შემდეგ საფეხურზე იყენებენ დამატებითი გასუფთავების გარეშე.

D: ამიდური ბმის ფორმირება



ანილინის (1.0 ეკვ.) და TEA-ს (1.1 - 1.5 ეკვ.) ხსნარს მეთილენ ქლორიდში მითითებულ ტემპერატურაზე ამატებენ მუავას ქლორანჰიდრიდს (1.05 - 1.1 ეკვ.). ხსნარს ურევენ 0.5-3 საათის განმავლობაში, ასხავენ NaHCO₃-ის ნაჯერ წყალხსნარში, ორჯერ აექსტრაჰირებენ მეთილენ ქლორიდით, აშრობენ (MgSO₄) და აკონცენტრირებენ. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (პირობები მოყვანილია ქვემოთ) და იღებენ მიზნობრივ პროდუქტს.


E: EDC ამიდური ბმის ფორმირება



ანილინის (1.0 ეკვ.) და EDC-ის (1.4 ეკვ.) ხსნარს მეთილენ ქლორიდში (0.7 M ხსნარი ანილინში) ამატებენ კარბონმუავას (1.1 ეკვ.). ხსნარს ურევენ 23°C-

ზე 2 საათის განმავლობაში, ასხავენ NH_4Cl -ის ნაჯერი წყალხსნარის და წყლის 1 : 1 ნარევი, ორჯერ აექსტრაჰირებენ მეთილენ ქლორიდით, აშრობენ (MgSO_4) და აკონცენტრირებენ. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (პირობები მოყვანილია ქვემოთ) და იღებენ მიზნობრივ პროდუქტს.


F: ამინების დამატება 2-ქლორპირიდინზე



NHRR' = ეთანოლამინი, ანალინი, ბენზილამინი, 2-მეთილპროპილამინი, N-მეთილპიპერაზინი, მორფოლინი, 2-მორფოლინოეთილამინი


პირველადი ან მეორეული ამინის (5 ეკვ.) ხსნარს BuOH-ში ან BuOH/ეთილენ გლიკოლის ნარევი დასაშუალო ტემპერატურაზე აცხელებენ 170 - 220°C-ზე 20 წუთის განმავლობაში. სარეაქციო ნარევი BuOH აცილებენ ვაკუუმში. ეთილენ გლიკოლის გამოყენების შემთხვევაში, სარეაქციო ნარევი აზავებენ წყლით, პროდუქტს აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატში, აშრობენ (MgSO_4) და აკონცენტრირებენ. ნაშთს ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე და იღებენ მიზნობრივ პროდუქტს.

G: ამიური ბმის შეუღლება HATU-ს გამოყენებით




კარბონმჟავას (1.1 ეკვ.), HATU-ს (1.1 ეკვ.) და DIPEA-ს (2 ეკვ.) ნარევი DMF-ში (0.1 - 0.2 M ხსნარი) ამატებენ ანილინს (1.0 ეკვ.). დამის განმავლობაში მორევის შემდეგ, სარეაქციო ნარევი აზავებენ ნატრიუმის ჰიდროქსიდის 0.1 N ხსნარით ან NaHCO_3 -ის ნაჯერი ხსნარით, აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით და გაერთიანებულ ორგანულ ფენებს რეცხავენ მარილწყლით. ორგანულ ფენას აშრობენ (MgSO_4), აკონცენტრირებენ და ნედლ ნარევი ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე.

H: სულფონამიდ ბენზომჟავების მიღება




ამინის (1.1 ეკვ.) ხსნარს 10-20%-იანი DIPEA/მეთანოლის ნარევი (1M ხსნარი) 4°C-ზე ამატებენ ქლორსულფონილბენზოჰმჟავას (1.0 ეკვ.). 1 საათის შემდეგ, სარეაქციო ნარევის აკონცენტრირებენ და ნაშთს ასუფთავებენ მბმითი შებრუნებულ ფაზაზე.

I: 2-პირიდინილ ტრიფლატების სტანილირება




არილტრიფლატის (1 ეკვ.), ბის-ტრიალკილკალას (1.05 ეკვ.) და ლითიუმის ქლორიდის (3 ეკვ.) დეგაზირებულ ხსნარს დიოქსანში ამატებენ ტეტრაკის-ტრიფენილფოსფინპალადიუმის (0.04 ეკვ.) ხსნარს ტოლუოლში (1 მლ). სარეაქციო ნარევის ადუღებენ უკუმაცივრით 2 საათის განმავლობაში, აცივებენ 23°C-მდე, აზავებენ ეთილ აცეტატით, რეცხავენ NH₄OH-ის 10%-იანი წყალხსნარით და მარილწყლით, აშრობენ (MgSO₄) და აკონცენტრირებენ. ნედლ პროდუქტს შემდეგ საფეხურზე იყენებენ დამატებითი გასუფთავების გარეშე.

J: ჩანაცვლებული პირიდინების სტანილირება




დიმეთილამინოეთანოლის (3 ეკვ.) ხსნარს 3-პეკსანში 0°C-ზე წვეთობით ამატებენ n-ბუტილ ლითიუმს (6 ეკვ., 2.5 M ხსნარი 3-პეკსანში). ხსნარს ურევენ 0°C-ზე 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ წვეთობით ამატებენ ჩანაცვლებულ პირიდინს (1 ეკვ.). ხსნარს ურევენ 0°C-ზე დამატებითი 1 საათის განმავლობაში, შემდეგ აცივებენ -78°C-მდე. სარეაქციო ნარევის წვეთობით ამატებენ ტრიალკილკალას ხსნარს 3-პეკსანში. ხსნარს ურევენ -78°C-ზე 30 წუთის განმავლობაში, ათბობენ 0°C-მდე, რეაქციას ახშობენ წყლით, ორჯერ აექსტრაჰირებენ ეთერით, აშრობენ (MgSO₄) და აკონცენტრირებენ.

K: შეუღლება სტილის მიხედვით




არილიოდიდის (1 ეკვ.), არილსტანანის (2 ეკვ.), და ტრიფენილფოსფინის (0.16 ეკვ.) დეგაზირებულ ხსნარს NMP-ში ამატებენ პალადიუმის კატალიზატორს (0.02 ეკვ.). სარეაქციო ნარევს აცხელებენ მიკროტალღებით დასხივების პირობებში 130°C-ზე, 15 წუთის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს აზავენ ეთილაცეტატით, რეცხავენ NH₄OH-ის 10%-იანი წყალხსნარით და მარილწყლით, აშრობენ (MgSO₄), აკონცენტრირებენ და ნაშთს ასუფთავენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე.

L: ალკილეთერების სინთეზი




ჰიდროქსიპირიდინის (1 ეკვ.), ალკილიოდიდის (ჭარბი რაოდენობა) და ცეზიუმის კარბონატის ხსნარს NMP-ში აცხელებენ მიკროტალღებით დასხივების პირობებში 100°C-ზე, 10 წუთის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს აზავენ ეთილ აცეტატით, რეცხავენ NH₄OH-ის 10%-იანი წყალხსნარით და მარილწყლით, აშრობენ (MgSO₄), აკონცენტრირებენ და ნაშთს ასუფთავენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე.

M: მეთილის ეთერის შესაპვნა




ახორციელებენ მეთილის რთული ეთერის (1 ეკვ.) და LiOH-ის (2 ეკვ.) ხსნარის ჰიდროლიზს THF/წყლის 50/50 ნარევში. რეაქციის დასრულების შემდეგ, სარეაქციო ნარევს THF-ს აციელებენ ვაკუუმში აორთქლებით და ხსნარს ამუავენ pH 2-მდე HCl-ის დამატებით. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ, აშრობენ და იღებენ სუფთა მჟავას.

N: ბრომირება თავისუფალი მჟავას თანდასწრებით




პარამეთილბენზომუჟას (1 ეკვ.), ბენზოიდის ზეჟანგის (0.1 ეკვ.) და N-ბრომსუკცინიმიდის (0.9 ეკვ.) ნარევს AcOH-ის 5%-იან ხსნარში ბენზოლში აცხელებენ მიკროტალღებით დასხივების პირობებში 120°C-ზე, 5-15 წუთის განმავლობაში. პროდუქტს აცალკევებენ საწყისი ნაერთისგან და დი-ბრომ პროდუქტებისგან ISCO ფლეშ-ქრომატოგრაფიით, ეთილ აცეტატის (1% AcOH-ით) და ჰექსანის შემცველი გამხსნელის სისტემის გამოყენებით.

O: ბრომის ჩანაცვლება ნატრიუმის მეთანსულფინატით




ბრომის შემცველ საწყის ნაერთს (1 ეკვ.) ამატებენ ნატრიუმის მეთანსულფინატის (2 ეკვ.) ხსნარს DMF-ში და აცხელებენ მიკროტალღებით დასხივების პირობებში 120°C-ზე, 5 წუთის განმავლობაში. ალტერნატიულად, სარეაქციო ნარევს ზეთიან აბაზანაზე აცხელებენ 60°C-ზე რამდენიმე საათის განმავლობაში, რეაქციის დასრულებამდე. სარეაქციო ნარევს აკონცენტრირებენ ვაკუუმში და ნაშთს აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით და წყლით. ორგანულ ფენას აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ ვაკუუმში და იღებენ მიზნობრივ მეთილსულფონს.

P: ბრომის ჩანაცვლება ამინით




ბრომის შემცველ საწყის ნაერთს (1 ეკვ.) ამატებენ შესაბამისი ამინის (3 ეკვ.) ხსნარს DMSO-ში ან BuOH-ში და ურევვენ ოთახის ტემპერატურაზე რეაქციის დასრულებამდე. ნუკლეოფილური ამინების ან ანილინების რაოდენობის შემცირებისთვის, რეაქციას აჩქარებენ გაცხელებით მიკროტალღებით დასხივების პირობებში, 150-170°C-ზე 15 წუთის განმავლობაში. ნედლ პროდუქტს აკონცენტრირებენ მშრალ ნაშთამდე, ნაშთს აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით და ნაჯერი ბიკარბონატით, თუ რეაქციის შედეგად მიიღება შუალედური ნაერთი ან ასუფთავებენ მბმ-ით, თუ რეაქციის შედეგად მიიღება საბოლოო პროდუქტი.

Q: ჰალოგენის ჩანაცვლება თიოლით




პარამეთილბრომ ბენზოატს (1 ეკვ.) ამუშავებენ კალიუმის (ან ცეზიუმის) კარბონატის (1.5 ეკვ.) და შესაბამისი თიოლის წარმოებულის (1,1 ეკვ.) ნარევით DMF-ში (ან CH₃CN-ში) და ურევან ღამის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევეს DMF-ს აცილებენ ვაკუუმში აორთქლებით და ნაშთს აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით და წყლით. ორგანულ ფენას აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ და იღებენ თიოლს ან ფუნქციონალიზებულ თიოლურ ნაერთს.

R: ოქსონით დაჟანგვა




ფუნქციონალიზებულ თიოლს (1 ეკვ.) ხსნიან MeOH-ში, იმავდროულად ოქსონს (2 ეკვ.) ცალკე ხსნიან წყლის ნახევარ რაოდენობაში. ოქსონის მთლიანად გახსნის შემდეგ, ხსნარს ამატებენ თიოლის ხსნარს MeOH-ში და ურევან რეაქციის დასრულებამდე. სარეაქციო ნარევეს MeOH-ს აცილებენ ვაკუუმში აორთქლებით და დარჩენილ წყალს ორჯერ აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით. ორგანულ ფენას აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, აკონცენტრირებენ და იღებენ სულფონს.

S: ეპოქსიდების თიოლიზი ალუმინის ზედაპირზე




ეპოქსიდების (1.0 ეკვ.), თიოფენოლის (1.5 ეკვ.) და ნეიტრალური ალუმინის ოქსიდის (~70 ეკვ.) ნარევეს ღიეთილ ეთერში ურევან 3 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე, მუშა ანალიზით მონიტორინგის პირობებში. სარეაქციო ნარევეს ფილტრავენ ცელიტზე, რეცხავენ ეთილ აცეტატით და აკონცენტრირებენ. ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (0-40% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ β-ჰიდროქსისულფიდურ პროდუქტს.

T: ნიტრილის ჯგუფის გარდაქმნა კარბონმჟავურ ჯგუფად




ბენზონიტრილის (1.0 ეკვ.) და ნატრიუმის ჰიდროქსიდის (2.0 ეკვ.) ხსნარს H_2O -ში აცხელებენ $120^{\circ}C$ -მდე 2 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევის აცილებენ ოთახის ტემპერატურამდე და ამჟავებენ pH 2-მდე HCl-ის დამატებით. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ და იღებენ სუფთა მჟავა პროდუქტს.

U. ფენოლების ალკილირება




ფენოლს ხსნიან DMF-ში (1.0 მლ), ამატებენ ცეზიუმის კარბონატს (1.0 ეკვ.) და ან ალკილ ბრომიდს ან ალკილ იოდიდს (1.0 - 2.0 ეკვ.) და სარეაქციო ნარევის ურევს ოთახის ტემპერატურაზე 18 საათის განმავლობაში ან $50^{\circ}C$ -ზე 1 - 24 საათის განმავლობაში. რეაქციას ახშობენ წყლით და ორჯერ აექსტრაჰირებენ ეთილ აცეტატით. ორგანულ ექსტრაქტებს რეცხავენ წყლით, მარილწყლით, აშრობენ $MgSO_4$ -ზე, აორთქლებენ და მიღებულ ნედლ ზეთს ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე.


V. ამიდური ბმის ფორმირება მჟავას ქლორანჰიდრიდის და ანილინის გამოყენებით



ანილინს ხსნიან THF-ის (1.5 მლ) და დიქლორმეთანის (1.5 მლ)ნარევში, ამატებენ MP-კარბონატს (1.5 ეკვ.) და მჟავას ქლორანჰიდრიდს (1.1 ეკვ.) და ხსნარს ურევს ოთახის ტემპერატურაზე 18 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევის აზავებენ მეთანოლით და დიქლორმეთანით და MP-კარბონატს აცილებენ ფილტრაციით. დედა-ხსნარს აორთქლებენ და წარმოქმნილ ნალექს ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე.

W. ამილინის ფორმირება იმიდატიდან

ახლად მიღებული იმიდატის ხსნარს მეთანოლში ოთახის ტემპერატურაზე 18 საათის განმავლობაში ამუშავებენ პირველადი ან მეორეული ამინით (1.5 ეკვ.). სარეაქციო ნარევეს მეთანოლს აცილებენ როტორულ ამოვრთქლებელზე და ნაშთს ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე.

X. 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილსულფონილ)-2-მეთილბენზომჟავა


საფეხური 1. მეთილ 4-ბრომ-2-მეთილბენზოატის მიღება – ერთ-ლიტრიან სამყელა კოლბაში, რომელიც აღჭურვილია მექანიკური სარეველით, უკუმაცივრით, შიდა ტემპერატურის მზომი ზონდით და აზოტის გამტარი მილით, ათავსებენ 4-ბრომ-2-მეთილბენზომჟავას (50.35 გ, 1 ეკვ., Hongda) და მეთანოლს (350 მლ). სარეაქციო ნარევეს აცივებენ 0°C-მდე, ნელა ამატებენ აცეტილ ქლორიდს (27.6 გ, 1 ეკვ.), სარეაქციო ტემპერატურის 30°C-მდე შენარჩუნების პირობებში. სარეაქციო ნარევეს აღუდებენ უკუმაცივრით 16 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით საწყისი ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. რეაქციის დასრულების შემდეგ, სარეაქციო ნარევეს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე და აკონცენტრირებენ როტორულ ამოვრთქლებელზე ზეთის მიღებამდე. შემდეგ ზეთს აზავებენ დიქლორმეთანით (100 მლ) და რეცხავენ ნატრიუმის ბიკარბონატის ნაჯერი ხსნარით (100 მლ). ორგანულ ფენას აკონცენტრირებენ როტორულ ამოვრთქლებელზე და იღებენ მეთილ 4-ბრომ-2-მეთილბენზოატს (51.22 გ, 95.5 %) ყვითელი ფერის ზეთის სახით.

საფეხური 2. 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილთიო)-2-მეთილბენზომჟავა - 12-ლიტრიან სამყელა მრგვალი კოლბაში, რომელიც აღჭურვილია მექანიკური სარეველით, უკუმაცივრით, შიდა ტემპერატურის მზომი ზონდით და აზოტის გამტარი მილით, ათავსებენ მეთილ 4-ბრომ-2-მეთილბენზოატს (500 გ), ტოლუოლს (4,000 მლ), 2-ეთილჰექსილ 3-მერკაპტოპროპანოატს (715 გ) და დიიზოპროპილეთილამინს (564 გ). რეაქტორის შიგთავსს 3-ჯერ უქვემდებარებენ ვაკუუმი/აზოტით შევსების ციკლს. შემდეგ რეაქტორში ათავსებენ $\text{Pd}_2(\text{dba})_3$ -ს (59.97 გ), და Xantphos-ს (63.15 გ) და კიდევ ერთხელ ახორციელებენ ვაკუუმი/აზოტით შევსების ციკლს. შემდეგ რეაქტორის შიგთავსს აცხელებენ 95-100°C-მდე 16 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით საწყისი ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. რეაქციის დასრულების შემდეგ, რეაქტორის შიგთავსს აცივებენ 45°C-მდე. შემდეგ რეაქტორში ათავსებენ ფლორიზილს (1000 გ) და სარეაქციო ნარევეს

ურევინ 50°C-ზე 2 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით შუალედური ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. რეაქციის დასრულების შემდეგ, რეაქტორის შიგთავსს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე და ფილტრავენ ცელიტის ბალიშზე. ფილტრზე დარჩენილ მასას რეცხავენ ეთილ აცეტატით (4000 მლ) და ფილტრატს აკონცენტრირებენ როტორულ ამორთქლებელზე ზეთის მიღებამდე. შემდეგ ზეთს მეთანოლში (9000 მლ) ამატებენ ნატრიუმის მეთოქსიდს (327 გ). (ეგზოთერმული რეაქცია, $\Delta T \sim 10^\circ\text{C}$). შემდეგ, რეაქტორის შიგთავსს აცხელებენ 50°C-მდე 1 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით შუალედური ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. რეაქტორში ამატებენ 2,2-დიმეთილოქსირანს (236 გ), (ეგზოთერმული რეაქცია, $\Delta T \sim 10^\circ\text{C}$) და აგრძელებენ სარეაქციო ნარევის გაცხელებას 50°C-ზე 1 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით შუალედური ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. სარეაქციო ნარევს ამატებენ წყალს (500 მლ) და ლითიუმის ჰიდროქსიდის მონოჰიდრატს (91 გ) და აცხელებენ 60°C-მდე 12 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით შუალედური ნაერთი მთლიანად არ შევა რეაქციაში. რეაქციის დასრულების შემდეგ, რეაქტორის შიგთავსს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე, აკონცენტრირებენ როტორულ ამორთქლებელზე, მიღებულ ზეთს აზავენ წყლით (18 ლ), აექსტრაჰირებენ დიქლორმეთანით (2 x 4 ლ), წყლიან ფრაქციას რეცხავენ პეტანით (2 x 4 ლ), ფრაქციას ამუავენ კონცენტრირებული HCl-ის დამატებით (სარეაქციო ტემპერატურის არა უმეტეს 35°C შენარჩუნებით) და აექსტრაჰირებენ დიქლორმეთანით (2 x 16 ლ). თითოეულ ორგანულ ფრაქციას რეცხავენ წყლით (1 x 8 ლ), აკონცენტრირებენ მშრალ ნაშთამდე და იღებენ 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილთიო)-2-მეთილბენზომჟავას (472 გ, 90% გამოსავლიანობა) ყვითელი ფერის ნალექის სახით.

საფეხური 3. 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილსულფონილ)-2-მეთილბენზომჟავას სინთეზი - 2000 მლ-იან რეაქტორში, რომელიც აღჭურვილია მექანიკური სარეველით, შიდა ტემპერატურის მზომი ზონდით და აზოტის გამტარი მილით, ათავსებენ 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილთიო)-2-მეთილბენზომჟავას (52 გ), მეთანოლს (370 მლ), წყალს (370 მლ) და ოქსონს (146 გ). (მცირედ ეგზოთერმული, $\Delta T \sim 15^\circ\text{C}$) და ურევინ ოთახის ტემპერატურაზე 18 საათის განმავლობაში, სანამ LC ანალიზის მიხედვით საწყისი ნაერთი სრულად არ არის შესული რეაქციაში. სარეაქციო ნარევს მეთანოლს აცივებენ როტორულ ამორთქლებელზე და ნაშთს ხსნიან ნატრიუმის ბიკარბონატის 5%-იან ხსნარში (3 ლ), ამატებენ ეთილ აცეტატს (2 ლ) და ამუავენ pH 1-მდე კონცენტრირებული HCl-ის დამატებით. ორგანულ ფენას აკონცენტრირებენ როტორულ ამორთქლებელზე მშრალ ნაშთამდე და იღებენ 4-(2-ჰიდროქსი-2-მეთილპროპილსულფონილ)-2-მეთილბენზომჟავას (52 გ, 88 % გამოსავლიანობა, 96.47 area % LC-ით) თეთრი ფერის ნალექის სახით.


მაგალითი 2 6-(2-მორფოლინოეთილამინო)-N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)პირიდინ-3-კარბოქსამიდი



პროცედურას F ახორციელებენ N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)-6-ქლორ-3-კარბოქსამიდის (50 მგ) და 2-მორფოლინოეთილამინის ხსნარის ბუტანოლში (0.5 მლ) გამოყენებით. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ მბმით შებრუნებულ ფაზაზე და იღებენ 6-(2-მორფოლინოეთილამინო)-N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)პირიდინ-3-კარბოქსამიდს თეთრი ფერის ნალექის სახით. MS (Q1) 438.3 (M)⁺.

მაგალითი 3

N,N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)-ბის[6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდინ-3]-კარბოქსამიდი




პროცედურას B ახორციელებენ 2-პირიდინოეთილის ბრომიდის (4 მლ, 2.0 მმოლი, 0.5 M ხსნარი THF-ში) და 3-ბრომ-4-ქლორ-ნიტრობენზოლის (236 მგ, 1.0 მმოლი) გამოყენებით. პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (10% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ 2-(2-ქლორ-5-ნიტროფენილ)პირიდინის ღია ყვითელი ფერის ნალექის სახით.

პროცედურას C ახორციელებენ 2-(2-ქლორ-5-ნიტროფენილ)პირიდინის (122 მგ, 0.52 მმოლი) გამოყენებით და იღებენ 4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ანილინის ღია ყვითელი ფერის ნალექის სახით, რომელსაც შემდეგ საფეხურზე იყენებენ დამატებითი გასუფთავების გარეშე.

პროცედურას D ახორციელებენ საწყისად 4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ანილინის (40 მგ, 0.2 მმოლი) გამოყენებით. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ სილიკაგელზე ქრომატოგრაფიით (15-60% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ N,N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)-ბის[6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდინ-3]-კარბოქსამიდს ზეთოვანი ნაშთის სახით: 0.42 (35% ეთილ აცეტატი/ჰექსანი); ¹H ბმრ (CDCl₃, 400 მჰც) δ 8.72 (m, 1H), 7.84 (d, 2H), 7.77 (dd, 1H), 7.68 (m, 1H), 7.57 (d, 1H), 7.51 (m, 3H), 7.33 (m, 1H), 7.12 (dd, 1H), 2.78 (s, 6H); MS (Q1) 579 (M)⁺.


მაგალითი 4

N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-3-ილ)ფენილ)-3,5-დიმეთოქსიბენზამიდი



პროცედურაში D აღწერილის მიხედვით, ახორციელებენ 4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ანილინის (40 მგ, 0.2 მმოლი) ურთიერთქმედებას 3,5-დიმეთოქსიბენზოილ ქლორიდთან (43 მგ, 0.216 მმოლი) 23°C-ზე 2 საათის განმავლობაში. ნედლ ნაშთს ასუფთავებენ კრისტალიზაციით (CH₂Cl₂/ჰექსანი) და იღებენ N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-3-ილ)ფენილ)-3,5-დიმეთოქსიბენზამიდს მოთეთრო ფერის ნალექის სახით: 0% R_f = 0.30 (15% ეთილ აცეტატი/ჰექსანი); ¹H ბმრ (CDCl₃, 400 მჰც) δ 8.72 (m, 1H), 7.91 (m, 1H), 7.88 (dd, 1H), 7.78 (m, 2H), 7.74 (dd, 1H), 7.48 (d, 1H), 7.35 (m, 1H), 6.96 (d, 2H), 6.62 (t, 1H), 3.82 (s, 6H); MS (Q1) 369 (M)⁺.


მაგალითი 5 5-აცეტილ-N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ)თიოფენ-2-კარბოქსამიდი



პროცედურაში E აღწერილის მიხედვით, ახორციელებენ 4-ქლორ-3-იოდანილინის (2.5 გ, 9.88 მმოლი) ურთიერთქმედებას 5-აცეტილთიოფენ-2-კარბონმჟავასთან (1.85 გ, 10.8 მმოლი) 23°C-ზე, 2 საათის განმავლობაში. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (20-100% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ 5-აცეტილ-N-(4-ქლორ-3-იოდფენილ)თიოფენ-2-კარბოქსამიდს ყვითელი ფერის ნალექის სახით.

პროცედურაში B აღწერილის მიხედვით, ახორციელებენ 5-აცეტილ-N-(4-ქლორ-3-იოდფენილ)თიოფენ-2-კარბოქსამიდის (202 მგ, 0.5 მმოლი) ურთიერთქმედებას 2-პირიდინილთეთილბრომიდთან (2.5 მლ, 1.25 მმოლი, 0.5M ხსნარი THF-ში). მიღებულ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (10-100% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ 5-აცეტილ-N-(4-ქლორ-3-(პირიდინ-2-ილ)ფენილ) თიოფენ-2-კარბოქსამიდს ყვითელი ფერის ნალექის სახით: 0% R_f = 0.19 (50% ეთილ აცეტატი/ჰექსანი); ¹H ბმრ (CDCl₃, 400 მჰც) δ 8.96 (bs, 1H), 8.67 (d, 1H), 7.79 (dt, 1H), 7.68 (m, 3H), 7.61 (d, 1H), 7.58 (d, 1H), 7.37 (d, 1H), 7.32 (m, 1H), 2.58 (s, 3H); MS (Q1) 357.0 (M)⁺.


მაგალითი 6 N-(4-ქლორ-3-(3-მეთილპირიდინ-2-ილ)ფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდინ-3-კარბოქსამიდი



პროცედურაში B აღწერილის მიხედვით, ახორციელებენ N-(4-ქლორ-3-იოდფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდიინ-3-კარბოქსამიდის (142 მგ, 0.32 მმოლი) ურთიერთქმედებას 6-მეთილ-2-პირიდილთუთიის ბრომიდთან (1.75 მლ, 0.5M ხსნარი THF-ში). პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (5-100% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ N-(4-ქლორ-3-(3-მეთილპირიდიინ-2-ილ)ფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდიინ-3-კარბოქსამიდს თეთრი ფერის ნალექის სახით: 0.23 (30% ეთილ აცეტატი/ჰექსანი); ^1H ბმრ (CDCl_3 , 400 მჰც) δ 8.81 (bs, 1H), 7.95 (dd, 1H), 7.67 (m, 3H), 7.53 (t, 2H), 7.38 (d, 1H), 7.07 (d, 1H), 2.71 (s, 3H), 2.43 (s, 3H); MS (Q1) 406.1 (M) $^+$.

მაგალითი 7


N-(4-ქლორ-3-(5-მეთილპირიდიინ-2-ილ)ფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდიინ-3-კარბოქსამიდი



პროცედურაში B აღწერილის მიხედვით, ახორციელებენ N-(4-ქლორ-3-იოდფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდიინ-3-კარბოქსამიდის (150 მგ, 0.34 მმოლი) ურთიერთქმედებას 4-მეთილ-2-პირიდილთუთიის ბრომიდთან (1.7 მლ, 0.5M ხსნარი THF-ში). პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელზე (5-75% ეთილ აცეტატი/ჰექსანი) და იღებენ N-(4-ქლორ-3-(5-მეთილპირიდიინ-2-ილ)ფენილ)-6-(ტრიფთორმეთილ)-2-მეთილპირიდიინ-3-კარბოქსამიდს თეთრი ფერის ნალექის სახით: 0.23 (35% ეთილ აცეტატი/ჰექსანი); ^1H ბმრ (CDCl_3 , 400 მჰც) δ 10.62 (bs, 1H), 8.12 (dd, 1H), 7.89 (d, 1H), 7.58 (d, 1H), 7.47 (m, 3H), 7.18 (d, 1H), 6.89 (d, 1H), 2.62 (s, 3H), 2.38 (s, 3H); MS (Q1) 406.3 (M) $^+$.

მაგალითი 8

5-აცეტილ-N-(4-ქლორ-3-(5-მეთილპირიდიინ-2-ილ)ფენილ)თიოფენ-2-კარბოქსამიდი




